ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 27 – 28 თებერვალი, 2016 | №48 (6974) | ფასი: 50 თეთრი

## ევროპაში დერბების ტურია



### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.02 | ლესტერი-ნორვიჩი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 27.02 | რეალი-ატლეტიკო | 1.8 | 3.6 | 4.33 |
| 27.02 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 7.0 | 4.4 | 1.44 |
| 27.02 | მილანი-ტორინო | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 27.02 | რეიმსი-ბორდო | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 28.02 | მანჩესტერი-არსენალი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 28.02 | ვალენსია-ბილბაო | 2.25 | 3.25 | 3.25 |
| 28.02 | ბარსელონა-სევილია | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 28.02 | მაინცი-ლევერკუზენი | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 28.02 | იუვენტუსი-ინტერი | 1.53 | 3.8 | 6.5 |
| 28.02 | ლიონი-პსჟ | 4.5 | 3.6 | 1.8 |
| 29.02 | ფიორენტინა-ნაპოლი | 2.9 | 3.4 | 2.37 |

# ვინ დაჭრა ალექსი პეტრიაშვილი



გვ.2

## პოლიტიკური მოტივი თუ პირადი ცხოვრების გამოძახილი?

თავდასხმის მოტივთან დაკავშირებით გავრცელდა რამდენიმე ვერსია, რომელთა თანახმად, მომხდარი პეტრიაშვილის პირად ცხოვრებას უკავშირდება და არა – პოლიტიკურს. გავრცელებული ინფორმაციით, პეტრიაშვილს ემუქრებოდნენ კიდეც.

## ლადო სადღობელაშვილი: „ქართულ ოცნებას“ კახა კალაძე დაეპატრონა“



„ვიწყებთ ვიცე-პრემიერის მხილებას“



ლიდერი იყო ირაკლი ღარიბაშვილი. რომელსაც ბევრი საქმე ჰქონდა და პარტიას სათანადო ყურადღებას ვეღარ უთმობდა. ამით ისარგებლა ენერგეტიკის მინისტრმა და იქაურობა თავისი კადრებით გამოჭედა. მეტსაც გეტყვით, პარტია ბიჭოლას ძმაკაცებით გაავსო“

გვ.3

## დავით ბერძენიშვილი პროკურატურას აფრთხილებს





გვ.3

„პროკურატურა „საერთაშორისო გამჭვირვალობას უცნაურად დაუახლოვდა“

## მამუკა კაციტაძე: „მზად ვართ კომპრომისისთვის, რასაც ხელისუფლებასაც მოვუწოდებთ“



გვ.4

## არჩილ გამზარდია: „რესპუბლიკელებმა კვლევა უნდა ჩაატარონ, რატომ არ აქვთ საზოგადოებრივი მხარდაჭერა“



გვ.4

## ანზორ აბრალავა: „უნდა მოხდეს „საქნახშირის“ ნაციონალიზაცია“



„საგარეჯოს არჩევნების შედეგების გამოძიება დემოკრატიულობის მაჩვენებელია“

გვ.5

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ჩემს ფეისბუქგვერდზე კიბერშეტევა უკრაინიდან განხორციელდა“



გვ.5

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ვინ დაჭრა ალექსი პეტრიაშვილი

## პოლიტიკური მოტივი თუ პირადი ცხოვრების გამოძახილი?

ბექა გოგინაშვილი

**26 თებერვალს თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ალექსი პეტრიაშვილს ცეცხლსასროლი იარაღით სამი ჭრილობა მიაყენეს, აქედან ორი ქვემო კიდურებში, ერთი კი – წელ-ზურგის არეში.**

ამის გარდა, პეტრიაშვილს აქვს კიდევ ერთი ჭრილობა თავის არეში, რომელიც, სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით არის მიყენებული.

შემთხვევა საბურთალოს პანთეონის ძმათა სასაფლაოს ტერიტორიაზე მოხდა, სადაც პეტრიაშვილი სამ მეგობართან ერთად ლევან მიქელაძის საფლავზე იმყოფებოდა.

თავდასხმის მოტივთან დაკავშირებით გავრცელდა რამდენიმე ვერსია, რომელთა თანახმად, მომხდარი პეტრიაშვილის პირად ცხოვრებას უკავშირდება და არა – პოლიტიკურს. გავრცელებული ინფორმაციით, პეტრიაშვილს ემუქრებოდნენ კიდეც.

ამ საქმეზე გამოძიება უკვე დაიწყო. ქვეყნის პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ის ესაუბრა შს მინისტრს და ამ დანაშაულზე ძალიან მკაცრი რეაგირება იქნება.

მომხდარიდან რამდენიმე საათში შსს-მ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

– თბილისში, საბურთალოს რაიონში, უცნობმა პირებმა ალექსი პეტრიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ორივე ქვედა კიდური დაუზიანეს.

გამოძიების წინასწარი ინფორმაციით, თავდასხმის მომენტში ალექსი პეტრიაშვილი ყოფილი დიპლომატის, ლევან მიქელაძის საფლავზე სამ მეგობართან ერთად იმყოფებოდა.

მომხდარის შესახებ შეტყობინება გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში ახლომდებარე საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მოქალაქისგან შევიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტმა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

შემთხვევა საბურთალოს პანთეონის ძმათა სასაფლაოს ტერიტორიაზე მოხდა.

შსს მიმართავს ფაქტის თვითმხილველ პირებს, დანაშაულის დროულად გამოძიების მიზნით, ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან.

* * *

თავდასხმის შემდეგ პოლიტიკოსი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა.

რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალური დირექტორის, ავთანდილ იმედაძის თქმით, პაციენტის მდგომარეობა სტაბილური იყო და იგი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაიყვანეს.

იმედაძის თქმით, პაციენტს სამი ცეცხლნასროლი ჭრილობა აღენიშნებოდა, აქედან ერთი ტყვია, რომელიც თირკმელთან ახლოს იყო გაჩერებული, ექიმების გადაწყვეტილებით, არ ამოიღეს და დატოვეს.

როგორც ავთანდილ იმედაძემ განმარტა, დააკვირდებიან ვითარებას, დინამიკას და 24 საათში იქნება გადაწყვეტილება აღნიშნულ ტყვიასთან დაკავშირებით მიღებული. შესაძლოა მისი ამოღება საჭირო არ გახდეს და დარჩეს თირკმელში, რაც მას საფრთხეს არ შეუქმნის.

– ოპერაცია დასრულდა წარმატებით, ამ წუთას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, – განაცხადა იმედაძემ.

* * *

26 თებერვალს პოლიციამ სამი პირი გამოკითხა და დაკითხვაზე დაიბარა ალექსი პეტრიაშვილის მეუღლე ეკა მიშველაძე.

თავად ეკა მიშველაძემ გააკეთა კომენტარი მომხდართან დაკავშირებით და თქვა, რომ ამ დანაშაულის ჩამდენი პირები აუცილებლად ციხეში უნდა იყვნენ. მიშველაძემ იმედი გამოთქვა, რომ ამ საქმეს პოლიცია მალე გამოიძიებს.

მიშველაძეს არ აქვს ვერსია, თუ ვის შეიძლებოდა ესროლა მისი მეუღლისთვის.

ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის შესახებ განცხადება ბევრმა პოლიტიკურმა პირმა გააკეთა.

პრეზიდენტის მრჩეველმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, რომ ეს ფაქტი შემაშფოთებელია და მსგავსი შემთხვევები დაუცველობის განცდას აჩენს.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ კი მომხდარი ქვეყანაში წახალისებულ კრიმინალს დააბრალა და თქვა, რომ მთავრობა მოქალაქეების უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს.



ექიმებმა ერთი ტყვია თირკმელში დატოვეს

# დავით ბერძენიშვილი პროკურატურას აფრთხილებს

შორენა მარსაგიშვილი

**გოგი თოფაძესთან ბრძოლით დაღლილი რესპუბლიკური პარტია დროებით მდუმარებაში ჩავარდა. როგორც პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, პოლიტსაბჭომდე ხმას არ ამოიღებდნენ. დუმილის აღქმა რესპებს პროკურატურამ და „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ დაარღვევინა, რაშიც ირიბი წვლილი მრეწველთა ლიდერმაც შეიტანა.**

25 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით საგარეჯოს არჩევნების საქმეზე მთავარ პროკურატურაში საქმე აღიძრა.

უწყებას გოგი თოფაძის განცხადებებით დაინტერესებისკენ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მოუწოდა. გოგი თოფაძე თანაკოალიციელ თინათინ ხიდაშელს საგარეჯოს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს.

დაიკითხება თუ არა ამ საქმეზე თავდაცვის მინისტრი, რომელიც თოფაძის ბრალდებების ადრესატია, ამ დროისთვის უცნობია.

პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყებას დადებითად აფასებენ ნაციონალური მოძრაობის წევრები. საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თამარ ხიდაშელი პროკურატურის მიერ დაწყებულ გამოძიებას უსაფუძვლოს უწოდებს, თუმცა გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.

– მუხროვანში სპეციალური უბნის შექმნაზე იმსჯელა ორი ინსტანციის სასამართლომ, რაიონულმა და სააპელაციომ. ორივემ დაადგინა, რომ სპეცუბანი შეიქმნა კანონის უფლებათა დაცვით. შემდეგ შედეგები გადათვალა საოლქო საარჩევნო კომისიამ, შედეგები გასაჩივრდა და ორივე ინსტანციის სასამართლომ განიხილა. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ აუცილებელია პროკურატურა ამ ფაქტით დაინტერესდეს, ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არ გვაქვს, – აცხადებს თამარ ხიდაშელი.

ამ ამბავს მრეწველთა ლიდერის მუზა – თინა ხიდაშელიც გამოეხმაურა. თავდაცვის მინისტრი პროკურატურას მოუწოდებს, საგარეჯოს შუალედური არჩევნების საქმე ეფექტურად გამოიძიოს, რათა ყველა შეკითხვას პასუხი გაეცეს.

როგორც თინა ხიდაშელმა აღნიშნა, წინასაარჩევნოდ სამარცხვინო მეთოდები შეიძლება იქნეს გამოყენებული.

– მინდა მოვუწოდო პროკურატურას, რომ რაც შეიძლება ეფექტურად იმუშაოს. თუ რამე კითხვები არსებობს, ამ ადამიანებს პასუხი გასცენ. არ მაქვს ილუზია, რომ მათ სიმართლე აინტერესებთ, მაგრამ ჩვენ, ქვეყანა ვართ დაინტერესებული, რომ ეს ბინძური კამპანია იმ მასშტაბითა და ფორმით, რაც ხელისუფლებას მოეთხოვება, დასრულდეს. დარწმუნებული ვარ, სამარცხვინო მეთოდებისა და კამპანიის მომსწრეები გავხდებით წინასაარჩევნო პერიოდში, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისი თანაპარტიელი დავით ბერძენიშვილი პროკურატურის მიერ დაწყებულ გამოძიებას სულ სხვა თვალით უყურებს.

ის შინაგან ფორიაქს გამოხატავს იმის გამო, რომ პროკურატურასა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შორის მოულოდნელი და უცნაური დაახლოება შეიმჩნევა.

– საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პროკურატურას მიმართა და ერთ საათში პროკურატურა გამოეხმაურა. რაღაცა მოულოდნელი და უცნაური დაახლოებაა. ეს სერიოზული არ არის. იმედი მაქვს, პროკურატურა ამ საქმეს ძალიან სწრაფად და ოპერატიულად შეისწავლის. მგონია, რომ საქმის არაღძვრის გადაწყვეტილება უფრო ჭკვიანური იქნებოდა, მაგრამ ეს მათი საქმეა. პროკურატურა უნებურად არ უნდა იქცეს პოლიტიკური კამპანიის შემადგენელ ნაწილად, – განაცხადა ბერძენიშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს მთავარ პროკურორსა და მთავარ პროკურატურას სერიოზული პასუხისმგებლობა დაეკისრა, რადგან თოფაძე, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელია, თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ ცრუ ბრალდებებით გამოდის.

– ხელისუფლებიდან გაგდებული ბრეგაძე თავდაცვის მინისტრის მიმართ უხამსი ბრალდებებით გამოდის. ასევე არჩევნებში დამარცხებული ირმა ინაშვილი ბრალდებებით გამოდის და თავდაცვის მინისტრის უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვს. ეს ყველაფერი, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოს პროდასავლური კურსის ინტერესებს არ ემსახურება. ვიღაცა ამას შეგნებულად აკეთებს, ვიღაცა – გამოუცდელობით, – განაცხადა ბერძენიშვილმა.

მან მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს მოუწოდა, ხიდაშელთან დაკავშირებულ თემებს ოპერატიულად ძალიან მკაფიო პასუხი გასცეს და მისდაუნებურად პოლიტიკური თამაშების მონაწილედ არ იქცეს.



## „პროკურატურა „საერთაშორისო გამჭვირვალობას უცნაურად დაუახლოვდა“





## მეთიუ ბრაიზა: „კამათი იმაზე, საქართველო აზიაა თუ ევროპა, უნდა დასრულდეს“

ამერიკის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწის მეთიუ ბრაიზას განცხადებით, საქართველო ევროპის ნაწილია და, შესაბამისად, ქართველები ევროპაში უვიზოდ მიმოსვლას იმსახურებენ. ამის შესახებ საქართველოში მყოფმა ბრაიზამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– მე, რა თქმა უნდა, ზუსტი დრო არ ვიცი, მაგრამ ვიზალიბერალიზაცია ძალიან ახლოსაა. თქვენ, ქართველები, ევროპელები ხართ და საქართველო ევროპის ნაწილია. კამათი დღეს იმაზე, საქართველო აზიაა თუ ევროპა, უნდა დასრულდეს. საქართველო ნამდვილად ევროპაა და თქვენ ევროპაში თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა უნდა მოგეცეთ. ეს, პირველ რიგში, დადებითად საქართველოს რიგით მოქალაქეებზე აისახება, – აცხადებს მეთიუ ბრაიზა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლადო სადღობელაშვილი: „ქართულ ოცნებას“ კახა კალაძე დაეპატრონა“

შორენა მარსაგიშვილი

## „ვიწყებთ ვიცე-პრემიერის მხილებას“

**რატომ გახდა კალაძე იძულებული პოლიტიკაში მოსულიყო, რატომ გაუფუჭდა მას ურთიერთობები ივანიშვილთან, ვინ გახდა შაჩში თბილისის მერია, რა კამპანია იწყება კალაძის წინააღმდეგ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**





**„ისე გამოდის, რომ ნაციონალების წისქვილზე ვასხამ წყალს, მაგრამ ასე არ არის“**

**ლადო სადღობელაშვილი:**

– კახა კალაძის და მისი კლანის მოქმედებები უკვე ყელშია ამოსული. დიდი ხნის მანძილზე ვითმინეთ მათი უსაქციელობა და ახლა გადავწყვიტეთ, დავიწყოთ მისი მხილება. როგორც ვატყობ, ამის გაკეთებას ყველა ერიდება.

***– რატომ გგონიათ, რომ ამის გაკეთება სხვებს ერიდება?***

– მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნება“ მოვიდა, გამუდმებით გვესმის პირველი პირების ლანძღვა. განსაკუთრებული აქცენტი ბიძინა ივანიშვილზე და ირაკლი ღარიბაშვილზე კეთდებოდა. კახა კალაძეზე არც ოპოზიციას, არც მედიას და არც არასამთავრობოებს ხმა არ ამოუღიათ. ეს ჩემთვის გაუგებარია.

***– იქნება იმიტომ არავინ ახსენებს, რომ არაფერში არ არის გარეული და არც კლანი არ ჰყავს?***

– რაში არ არის გარეული და რა კლანი არ ჰყავს? მათი წყალობით საქმე კატასტროფამდე არის მისული. კალაძის და მისი ცოლის სანათესაომ შეჭამეს და გაანადგურეს საქართველოში ყველაფერი. ის იდეალები გააცამტვერეს, რასაც 2012 წელს მოსახლეობამ მისცა ხმა.

ამ პიროვნების მენტალობიდან გამომდინარე, ქვეყანაში არც ერთი სტრუქტურა აღარ არის დალაგებული. ეს იცით, რისი ბრალია? ამ სამტრედიელ ახალგაზრდას, როგორც აჭარლები იტყვიან, ერთი ადგილი კაიმალში აქვს ჩაყოფილი ანუ ამხელა ძალაუფლებას ფლობს.

***– არც ერთ სტრუქტურაში სიტუაცია დალაგებული არ არისო და რატომ არის ეს მარტო კალაძის ბრალი? ქვეყანას ჰყავს პრემიერი, არის მეორე ვიცე-პრემიერი, არიან მინისტრები. ყველას უფროსი კალაძეა?***

– ისე გამოვიდა, რომ ყველაფერს მოაჯდა კალაძე. მაშინ, როცა ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყნის საქმეებით იყო დაკავებული, კალაძე საკუთარ კლანს აძლიერებდა. დღეს თბილისის მერია დიდ სკანდალებშია გახვეული და ეგეც მაგისი ოჯახის წევრების დამსახურებაა. საუბარი მაქვს კალაძის ცოლისძმაზე, რომელსაც მერიაში სპორტის და ახალგაზრდობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობა ეკავა.

ამ ბიჭის მიმართ პიროვნულად პრეტენზიები არ მაქვს, მაგრამ ამხელა თანამდებობაზე რომ ინიშნები, ცოტაოდენი გამოცდილება ხომ უნდა გქონდეს. მისმა უცოდინარობამ მერია იქამდე მიიყვანა, რასაც დღეს ვხედავთ.

***– კალაძის ცოლისძმა მერიაში რამდენიმე თვეა, აღარ მუშაობს, მაგრამ ნარმანიას უწყება არაერთ სკანდალში მისი წამოსვლის შემდეგაც გაეხვია.***

– კიდევ გაეხვევიან, რადგან იქ ისევ არიან კალაძის კლანის წარმომადგენლები. ამ ადამიანის ახირების წყალობით, ფეხბურთის ფედერაციაც სკანდალშია გახვეული. რაც ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე მოხდა, ამაზე ძალიან დიდი ხნის მანძილზე ილაპარაკებენ. ყველამ ვიცით, რომ არჩევნების დილას გეგა გობეჯიშვილი შემთხვევით არ დაუპატიმრებიათ. მისი ხმა გადამწყვეტი იყო. ეს ყველაფერი კალაძის ახირების შედეგი იყო, მან გადაწყვიტა, რომ ფედერაციის პრეზიდენტად მისი ძმაკაცი გასულიყო.

***– თქვენ მიგაჩნიათ, რომ კობიაშვილი არ იმსახურებს ამ თანამდებობას?***

– როგორ არ იმსახურებს, მე ამ ადამიანს დიდ პატივს ვცემ და მჯერა, რომ ფეხბურთში არსებულ ვითარებასაც გამოასწორებს. აქ პრობლემა ისაა, რომ ის პრეზიდენტი კალაძის ახირებით გახდა. ვიცე-პრემიერი იმ იდეოლოგიის გამგრძელებელია, რომელსაც ნაციონალები მისდევდნენ.

თინა ხიდაშელის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ყველამ იცის, მაგრამ მაინტერესებს, რატომ არ ვახსენებთ მისი გვარის გვერდით კალაძის გვარს? თავდაცვის მინისტრმა თუ საგარეჯოში გააყალბა არჩევნები, ვიცე-პრემიერმა იგივე გააკეთა გარდაბანში და თავისი ძმაკაცი გაიყვანა გამგებლად.

***– ვიცე-პრემიერი რომ არ ჩარეულიყო, თქვენი აზრით, ნაციონალები მოიგებდნენ გარდაბანს?***

– მოგებით ვერ მოიგებდნენ, მაგრამ დარღვევებს და გადაცდომებს ჰქონდა ადგილი. ეს „ქართულ ოცნებას“ უთხრის ძირს. კალაძე და რესპუბლიკელები კოალიციის შემარცხვენლები და დამაქცევრები არიან.

„ქართულ ოცნებაში“ საოცარი ამბები ხდება. „ოცნებაში“ ბევრი ჩემი მეგობარია და იქ არსებულ სიტუაციაზე საოცრებებს ყვებიან.

***– ეს საოცრებები კოალიციაში ხდება თუ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოში“?***

– პარტიაზე მაქვს საუბარი. იქ მართვის სადავეები ხელში ე.წ. ლიბერალების ფრთამ აიღო. ესენი არიან ვიცე-პრემიერის საძმაკაცო-სანათესაო.

***– ამ პარტიას ხომ ჰყავს სხვა ლიდერები, ხმა რატომ არავინ ამოიღო?***

– ლიდერი იყო ირაკლი ღარიბაშვილი. რომელსაც ბევრი საქმე ჰქონდა და პარტიას სათანადო ყურადღებას ველარ უთმობდა. ამით ისარგებლა ენერგეტიკის მინისტრმა და იქაურობა თავისი კადრებით გამოჭედა. მეტსაც გეტყვით, პარტია ბიჭოლას ძმაკაცებით გაავსო.

***– დიზაინერ ბიჭოლაზეა საუბარი?***

– დიზაინერ ბიჭოლაზე ვსაუბრობ.

***– აბა რატომ ამბობენ, ბიჭოლასა და კალაძეს შორის სიტუაცია დაიძაბაო?***

– არ ვიცი, რას ამბობენ, მაგრამ ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ ბიჭოლას ძმაკაცებითაა სავსე. და საერთოდ არ გაინტერესებთ, რატომ მიატოვა ამ კაცმა მილანი და რატომ მოვიდა პოლიტიკაში? ამაზე ბევრი საინტერესო მასალის მოძიება შეიძლება. მე რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ.

ენერგო პრო ჯორჯიას შესახებ საქართველოში ყველას გვსმენია. ძმები შარანგიები იყვნენ ამ კომპანიის ძირითადი პაკეტის მფლობელები. აბა ერთი გაიკითხეთ, ვისი საძმაკაცო იყო თავის დროზე შარანგიები, ეს იყო კახა კალაძე, რომელიც ძმებსა და ნაციონალებს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებდა. მან დიდი წვლილი შეასრულა ამ კომპანიის აყვავებაში, მაგრამ მას ეს კომპანია „აახიეს“.

ასევე გავიხსენებ არსენალის მთის პროექტს. სადაც კალაძემ ნოლაიდელთან ერთად დააბანდა მთელი თავისი ფული. ეს მისი მხრიდან იყო ვა-ბანკზე წასვლა და მან მთელი ფული დაკარგა. ამიტომაც მას პოლიტიკაში მოსვლის გარდა სხვა შანსი აღარ ჰქონდა.

***– სხვა შანსი რატომ არ ჰქონდა?***

– იმიტომ, რომ ნულზე იყო დასული. მისი პოლიტიკაში მოყვანა იყო ძალიან დიდი შეცდომა.

***– თუ ეს შეცდომა იყო, პირადად თქვენ თავიდანვე რატომ არ ატეხეთ განგაში?***

– ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთ მადას გამოიჩენდა. ისედაც დიდი მადა მას ირაკლი ღარიბაშვილის წასვლის შემდეგ გაეხსნა. მადის გახსნას ვინ ჩივის, ფრთები გაშალა და მთელი პარტია ხელში ჩაიგდო. პარტიასთან ერთად საქართველოსაც დაეპატრონა.

***– უკვე რამდენჯერმე თქვით, რომ კალაძე პარტიას დაეპატრონა. რას ფიქრობს ამაზე პარტიის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი?***

– მას ივანიშვილთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. მასაც ყელში ამოუვიდა ვიცე-პრემიერის ალვირახსნილობა. ისიც კარგად ხვდება, რომ „ქართულ ოცნებას“ რესპუბლიკელებზე არანაკლებად უტეხს სახელს ენერგეტიკის მინისტრი.

***– თქვენ ზემოთ გვითხარით და სოციალური ქსელითაც გაავრცელეთ განცხადება, სადაც წერთ, რომ კალაძის მხილებას იწყებთ. შეგიძლიათ გვითხრათ, კონკრეტულად რას აპირებთ?***

– არა, ამას წინასწარ არ ვიტყვი, იმიტომ, რომ ეს პიროვნება შეკრულია სუსთან და არაფერს არ ვიტყვი. ცოტაც მოითმინეთ და ქალაქში ბევრ საინტერესო აქტივობას ნახავთ.

***– არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ კამპანიის დაწყებით მისი კონკურენტების წისქვილზე ხომ არ დაასხამთ წყალს?***

– რაღაც ისე გამოდის, რომ ნაციონალების წისქვილზე ვასხამ წყალს, მაგრამ ასე არ არის. ვიღაცამ ხომ უნდა თქვას სიმართლე? იმედი მაქვს, ხმას „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც ამოიღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნებზე 41-ის შემოხაზვით კალაძის კლანს აირჩევენ.

# „თამარ ხიდაშელს საქართველოს წინააღმდეგ სარჩელები შეჰქონდა“

## ჩიორა თაქთაქიშვილი საგარეჯოს მაჟორიტარის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ჩიორა თაქთაქიშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ ქალებს დაერია, ჯერ ანა დოლიძეზე მიიტანა იერიში, მერე კი საგარეჯოს მაჟორიტარი თამარ ხიდაშელი დაადანაშაულა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში.

როგორც დეპუტატმა აღნიშნა, თამარ ხიდაშელის მონაწილეობით საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე სარჩელია მომზადებული.

– თამარ ხიდაშელი, რომელიც დღეს პარლამენტის წევრია და იმჟამად გახლდათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) თავმჯდომარე, მისი მონაწილეობითაც არის სარჩელები საქართველოს წინააღმდეგ. მათ მოამზადეს ძალიან დიდი ნაწილი სარჩელებისა, რომლებიც რუსეთის მხარეს უყენებს პრეტენზიებს. ეს არის ძალიან კარგი და მისასალმებელი, მაგრამ ჩვენ ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით თამარ ხიდაშელის მონაწილეობითაც არის მომზადებული სარჩელები საქართველოს წინააღმდეგ, – აღნიშნა თაქთაქიშვილმა.



მის ბრალდებებს მალევე გამოეხმაურა თამარ ხიდაშელი. მისი თქმით, 2008 წელს საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ჰქონდა თანამოქალაქეების უფლებების დარღვევას.

ხიდაშელის თქმით, ისევ იმ პოზიციაზე, რჩება, რომ ადამიანის უფლებებს ეთნიკურობა არა აქვს.

– მე ვიყავი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, როდესაც ეს საქმე გაიგზავნა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. მაშინაც ამ პოზიციაზე ვიყავი და დღესაც შესაბამის პოზიციაზე ვრჩები, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ჰქონდა ჩვენი თანამოქალაქეების უფლებების დარღვევას. მე ვფიქრობ, ადამიანის უფლებებს ეთნიკურობა არა აქვს, შესაბამისად, ეს საქმეები ნამდვილად იყო გასასაჩივრებელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და დღესაც მოუთმენლად დაველოდები ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანას, – განაცხადა თამარ ხიდაშელმა.

მანამდე თაქთაქიშვილმა განაცხადა, რომ ანა დოლიძე აგვისტოს ომის საქმეზე საქართველოს წინააღმდეგ რუსული არასამთავრობოს ინტერესებს იცავდა. საუბარია „რუსეთის მართლმსაჯულების ინიციატივაზე“.

– თავისთავად კონსულტაციის გაწევა რუსეთში მოქმედი ორგანიზაციისთვის ან თანამშრომლობა რუსულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა პრობლემა, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ამ ორგანიზაციამ 2008-2009 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რამდენიმე ათეული სარჩელი შეიტანა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ რუსეთისა და „სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების“ სახელით. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმეა „სიპოლსი საქართველოს წინააღმდეგ“, რომლითაც მოსარჩელე საქართველოს სახელმწიფოს ადანაშაულებს ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვის დროს რუსეთის მოქალაქეების განზრახ მკვლელობაში. გახსოვთ, რომ „მძინარე ცხინვალის დაბომბვა“ და „ოსების გენოციდი“ ვლადიმირ პუტინის მთავარი ბრალდებები იყო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიმართ, – განაცხადა თაქთაქიშვილმა.



**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მამუკა კაციტაძე: „მზად ვართ კომპრომისისთვის, რასაც ხელისუფლებასაც მოვუწოდებთ“

ნათია ხურცილავა

**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრა ჰქონდა და მომავალ კვირას საარჩევნო სისტემაზე სამუშაო ჯგუფი მუშაობას შეუდგება.**



**მამუკა კაციტაძე:**

– პრემიერს, უმრავლესობის ლიდერსა და ვიცესპიკერს ჩვენი წინადადებები გადავეცით, რომლებიც ასე გამოიყურება: საარჩევნო სისტემა, სადაც ძირითადი წინადადებები და მოდიფიცირებული ალტერნატივები გვაქვს შეთავაზებული. მეორე საკითხია საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, საარჩევნო ბარიერი, წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები, მაგალითად, სარეკლამო დროის განაწილება და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვის გამკაცრება.

ამ მუშა პროცესში თუ რა შედეგი დადგება, ამაზე იქნება დამოკიდებული, გაფორმდება თუ არა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების დოკუმენტი.

***– რა დოკუმენტზე საუბრობთ?***

– შეთანხმების დოკუმენტი თუ გაფორმდა, ეს დადებითად იმოქმედებს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. თუ არ შედგა ასეთი შეთანხმება, ეს ნეგატიურად იმოქმედებს ამ არჩევნების პოლიტიკურ ლეგიტიმურობაზე.

***– რომელ საკითხზე შეიძლება ოპოზიცია დათმობაზე წავიდეს? ისევ მნიშვნელოვანია მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება?***

– არასაპარლამენტო ოპოზიცია საკმაოდ არახისტი განწყობით მიდის ამ თანამშრომლობაზე. ჩვენ გვაქვს ალტერნატივები. არ გვაქვს ის მოლოდინი, რომ ხელისუფლების მხრიდან 100% იქნება დაკმაყოფილებული, არც იმის მოლოდინი მაქვს პირადად მე, რომ არცერთი პროცენტი არ იქნება დაკმაყოფილებული. რაზე გავალთ, რა შედეგს მივიღებთ, ამას დრო გვიჩვენებს და შეფასებებიც გაკეთდება.

***– რატომ არის ასე მიუღებელი თქვენთვის მაჟორიტარული სისტემა?***

– როდესაც ქვეყანაში ერთპალატიანი პარლამენტია და როდესაც ქვეყანა არის უნიტარული სახელმწიფო და არა – ფედერალური მოწყობის, არ არსებობს პრაქტიკულად მსოფლიოში დემოკრატიული პრეცედენტი, რომ ასეთი პარლამენტი შერეული, მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით ირჩეოდეს. ასეთი პრეცედენტი არის მხოლოდ ორი, უნგრეთსა და ლიტვაში დემოკრატიული ქვეყნებიდან, სადაც სხვა რეგულაციები მოქმედებს.

***– რა რეგულაციებია?***

– მაგალითად, ასეთი: არჩევნები არ ითვლება ჩატარებულად, თუ ამომრჩეველთა 50%-ზე მეტი არჩევნებზე არ მივიდა. საქართველოში ასეთ რეგულაციაზე საუბარი არ არის. აშშ არ არის უნიტარული სახელმწიფო და ის შტატებისგან შედგება, რომლებიც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს წარმოადგენენ. ასევე ამერიკის საკანონმდებლო ორგანო ორი პალატისგან, სენატისა და კონგრესისგან შედგება. ამიტომ ეს მაგალითები ჩვენ არ გამოგვადგება.

კიდევ არის მაგალითები, სადაც მაჟორიტარული არჩევნები ტარდება, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, მაგრამ გერმანია არ არის უნიტარული სახელმწიფო. გერმანია ფედერალური მოწყობისაა და კიდევ, ამ სახელმწიფოებში ორპალატიანი პარლამენტია.

ეს საკითხი, რომელზეც თქვენ მკითხეთ და მე გიპასუხეთ, ჩვენი საუბრის საგანი იყო პრემიერთან, უმრავლესობის ლიდერთან და ვიცესპიკერთან და არა – რიგით წევრებთან.

***– 2016 წლის არჩევნების შედეგად მრავალპარტიული პარლამენტი შეიძლება მივიღოთ?***

– ყველა შემთხვევაში მომავალი პარლამენტი მრავალპარტიული იქნება. მთავარი ამოცანაა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები შეთანხმებულ საარჩევნო გარემოში ჩატარდეს, რათა ამ არჩევნებს არ დაუდგეს პოლიტიკური ლეგიტიმაციის პრობლემა. ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ამბობს, რომ არჩევნების საკანონმდებლო ბაზა ფართო კონსენსუსის პროდუქტი უნდა იყოს და ის არ უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ხელისუფლებას, რაოდენ მაღალრეიტინგულიც არ უნდა იყოს ის.

***– ბატონო მამუკა, რა დათმობაზე შეიძლება წახვიდეთ და რა შემთხვევაში შეიძლება არჩევნების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით კითხვის ნიშანი არ გაჩნდეს?***

– ჩვენ მზად ვართ გონივრული კომპრომისისთვის. ანალოგიურად მოვუწოდებთ ხელისუფლებასაც. არც ჩვენ გვინდა, კაპიტულანტური პოზიცია გვქონდეს და არც არავის ვთხოვთ, დაგვნებდეს. ეს უნდა მოხდეს კომპრომისებისა და შემხვედრი ნაბიჯების საფუძველზე, რისი შედეგიც უნდა იყოს შეთანხმება. ამის რესურსი რეალურად არსებობს. მთავარია, ხისტი და ულტიმატუმური დამოკიდებულება არ იყოს. ჩვენი მხრიდან ეს პოზიცია არ არის. ვნახოთ, როგორი იქნება ხელისუფლების პოზიცია.

# არჩილ გამზარდია: „რესპუბლიკელებმა კვლევა უნდა ჩაატარონ, რატომ არ აქვთ საზოგადოებრივი მხარდაჭერა“

## კოალიცია საჭიროებს სერიოზულ განახლებას! უბრალოდ განახლებას კი არა, სერიოზულს. იქ არიან პარტიები, რომლებიც საერთოდ უნდა გავიდნენ გარეთ!

ნონა ცაბაძე

**რესპუბლიკელებმა თუ კოალიცია დატოვეს, ისინი ნაციონალებთან წავლენ**

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი არჩილ გამზარდია აფასებს.

***– არჩილ, რა გახდა უმრავლესობის შიგნით დაპირისპირების მიზეზი?***

– ამის გამომწვევი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ დღემდე ვერ დაკომპლექტდა „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია, რითიც ისინი უნდა წარდგნენ ამომრჩევლის წინაშე.

***– ეს არის დაპირისპირების მიზეზი?***

– ჩვენ რომ დავაკვირდეთ, ეს დაპირისპირება არის მხოლოდ საპარლამენტო სივრცეში. მაგალითად, რესპუბლიკელი მინისტრი „ქართული ოცნების მინისტრს“ ან სხვას არ დაპირისპირებია.

საპარლამენტო წარმომადგენლობაშია ეს დაპირისპირება და განპირობებულია იმით, რომ მათ არ იციან საკუთარი თავის პერსპექტივები სამომავლოდ, მით უმეტეს, თუ დააკვირდებით, ვის სივრცეზე გადის დაპირისპირება, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ შანსებს შედარებით ნაკლებად აფასებენ დამოუკიდებლად, ამიტომაც ცდილობენ გაერკვიონ, რა ხდება.

***– ანუ ეს არის შიშის ფაქტორი, ვაითუ ველარ მოხვდნენ შემდეგი მოწვევის პარლამენტში?***

– დაახლოებით ეს არის. მათ არ იციან სამომავლო გეგმები. შესაძლოა თითოეული მათგანი არ მოხვდეს საარჩევნო სიაში, მაგრამ მათ სხვა შეთავაზება ჰქონდეთ, ამიტომ, რამდენადაც ეს ყველაფერი არის გაურკვეველი, იმდენად მათთვის სტრესის საფუძველი მეტი არსებობს.

თუ დააკვირდებით, პარლამენტში არიან ადამიანები, რომლებსაც საკმაოდ სერიოზული შანსები აქვთ და, დიდი ალბათობით, კიდეც იქნებიან საარჩევნო სიაში. ის ადამიანები, რომლებიც ამის შანსებს მართლაც ხედავენ, ასე არ ებრძვის ერთმანეთს. ძირითადად ხმაურობენ ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ პერსპექტივებს კარგად ვერ ხედავენ.

***– ან სულაც აქვთ კულუარული ინფორმაცია, რომ აღარ იქნებიან სიაში? ან სად არის ეს სია? რატომ იგვიანებს? მასზე საბოლოო ხელმოწერა ივანიშვილმა უნდა დატოვოსო. მას ელოდებიან?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. გააჩნია, ვინ გახდება „ქართული ოცნების“ ლიდერი და რამდენად იქნება გადაწყვეტილების მიმღები პირი.

მე ყოველთვის ვამბობ, რომ ივანიშვილი მაქსიმალურად ცდილობს პროცესებისგან დისტანცირებას. მას ყოველთვის არ აქვს ამის სურვილი, მხოლოდ იძულების რეჟიმში ერთვებოდა ხოლმე, რაც გადადგა. ის ყოველთვის ცდილობს, პროცესებმა დაიწყონ განვითარება მის გარეშე. ეს ძალიან სწორი ხედვაა, რომ მუდმივად არ იყოს მთავრობა ჩამოკიდებული ერთ კონკრეტულ პირზე.

***– თუმცა უმრავლესობა ცდილობს, ჭკუას ყოველთვის ივანიშვილს დაეკითხოს?***

– ჭკუის კითხვა სხვა არის. შეიძლება მეც გკითხოთ თქვენ, მაგრამ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად, თქვენ გარეშე მივიღო. ამას ვერ ახერხებენ. ივანიშვილი უფრო ცდილობს, ხელისუფლებამ დამოუკიდებლად ისწავლოს პროცესების მართვა.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ის არ ჩაერთვება საარჩევნო პროცესში?***

– არა, გარკვეულ ეტაპზე, ალბათ, ჩაერთვება. ბოლოს და ბოლოს, ის პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელია. მას სრული უფლება აქვს და მისი სიტყვა მნიშვნელოვანიც არის. მას ამისი ვალდებულებაც გააჩნია. არ გამოვრიცხავ, რომ ის ახლა ყველა პროცესს ადევნებდეს თვალყურს.

ჩემი აზრით, ახლა ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, გარკვეული ინდიკატორი დაინახოს პროცესების მიშვებით.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, თუ როგორ იქცევიან კოალიციაში შემავალი სუბიექტები ერთმანეთთან მიმართებით.

***– ანუ ის აკვირდება სიტუაციას, თუ ვინ არის კოალიციაში ყოფნის ღირსი და გადამწყვეტ სიტყვას ამის შემდეგ იტყვის?***

– ან, უბრალოდ, იმ კუთხით, რომ გათვალოს სამომავლო პერსპექტივები. შესაძლოა მან მოინდომოს, რომ კოალიციის შემადგენლობა არსებითად არ შეიცვალოს, თუმცა მე მიმაჩნია, რომ ეს აბსოლუტურად არასწორი გადაწყვეტილება იქნებოდა.

***– რატომ?***

– კოალიცია საჭიროებს სერიოზულ განახლებას! უბრალოდ განახლებას კი არა, სერიოზულს. იქ არიან პარტიები, რომლებიც საერთოდ უნდა გავიდნენ გარეთ. ისინი, უბრალოდ, ან არასანდო პარტნიორები არიან, ან ანგრევენ ხელისუფლების მიღწევებს. იგივე მრეწველებისა და კონკრეტულად თოფაძის განცხადებები მხოლოდ ცუდ სამსახურს უწევს მმართველ პარტიას.

***– ანუ თოფაძეზე თქვენც იმავეს ფიქრობთ, რასაც რესპუბლიკელები?***

– კი. ამ საკითხში მე ძალიან კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს. თოფაძის რუსული რიტორიკა საქმეს აფუჭებს.

თოფაძეს ბევრი ზედაპირულად უყურებს, თუმცა მას მე ჯეროვნად ვაფასებ. ის არის ადამიანი, რომელიც მუდმივად პოლიტიკური პროცესების მონაწილეა. მისი გადაწყვეტილებები ზედაპირულად არ მიიღება.

***– ამით რისი თქმა გსურთ?***

– თოფაძე შეეცდება, იპოვოს ის ამომრჩეველი, რომელიც გაბნეულია და სათავისოდ გამოიყენოს. რესპუბლიკელებთან დაპირისპირებაც მის სასიკეთოდ მუშაობს ანუ ის ორ სამიზნე ჯგუფს კრებს. ერთი სამიზნე ჯგუფი რუსეთისადმი ლოიალურად არის განწყობილი ანუ პრორუსული ძალები არიან და მეორე ჯგუფი – ეს არის ანტირესპუბლიკელებისგან შემდგარი საზოგადოების ნაწილი და ცდილობს, ისინიც მიიზიდოს.




***– რატომ არის საზოგადოების დიდი ნაწილისთვის რესპუბლიკური პარტია მიუღებელი, რატომ იმატებს მათ მიმართ აგრესიული განწყობები?***

– რესპუბლიკელებმა, ალბათ, ამაზე კვლევა უნდა ჩაატარონ, რატომ არ გააჩნიათ საზოგადოებრივი მხარდაჭერა. მე მათში ძალიან ბევრ სუბიექტს დიდი პატივისცემით ვეპყრობი. სულაც არ მიმაჩნია, რომ თავდაცვის მინისტრი მიუღებელია. ის სავსებით პატივსაცემი ადამიანია, ისე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე. ეს ხალხი რეალურად არის ის რესურსი, რომელიც ძალიან ბევრ რესურსს სჯობია, მაგრამ არის რაღაც, რომელიც მათგან არ მოდის.

***– ვინ დარჩება კოალიციის გარეთ, ვინ დარჩება ამ ბრძოლაში მოგებული? ერთი მხრივ, მიდის საუბარი, რომ რესპუბლიკელები ივანიშვილის სიმპათიით სარგებლობენ, თუმცა, მეორე მხრივ, იმაზეც საუბრობენ, რომ რესპუბლიკელებს მადა გაეზარდათ და ეს თავად ივანიშვილსაც არ მოსწონს. ასეა?***

– გაეზრდებოდათ, რატომაც არა. მე რესპუბლიკელების ადვოკატი არ ვარ, მაგრამ პროცესს უნდა შევხედოთ სწორად. ეს არის კოალიცია. კოალიციაში შედიან პარტიები და ეს პარტიები იბრძვიან გავლენისა და პირველობისათვის. მეტი მანდატი უნდათ, მეტი საპარლამენტო კვოტა. ეს არის სავსებით ნორმალური მოთხოვნა. ამის პრობლემა მოდის არა რესპუბლიკელებისგან, არამედ იქიდან, რომ პარტია „ქართული ოცნება“ ვერ შედგა.

***– ეს რა კავშირშია რესპუბლიკელების მადასთან?***

– ეს პარტია დღემდე ვერ შეიქმნა. მათ არ გააჩნიათ ინსტიტუციონალური განვითარება, მათ არ ჰყავთ სახეები, არ გააჩნიათ ამოცანები, არ ურთიერთობენ საზოგადოებასთან. ამიტომაც კოალიციაში მადა რომ ექმნება ამა თუ იმ სუბიექტს, არის ის, რომ „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, არის განუვითარებელი. აი, ეს არის პრობლემა. რომ შემდგარიყო ეს პარტია, რომ ყოფილიყო დომინანტი პარტია, ყველა დანარჩენი დადგებოდა თავის ადგილას. მაშინ სულ სხვანაირი სიტუაცია იქნებოდა.

# ანზორ აბრალავა: „უნდა მოხდეს „საქნახშირის“ ნაციონალიზაცია“

## „საგარეჯოს არჩევნების შედეგების გამოძიება დემოკრატიულობის მაჩვენებელია“

მარიამ მჭედლიშვილი

**საგარეჯოს შუალედური არჩევნების შედეგებზე პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყებას არ მიესალმებიან რესპუბლიკურ პარტიაში. დავით ბერძენიშვილის აზრით, ნატოს ვარშავის სამიტის წინ თავდაცვის მინისტრის მიმართ კითხვების გაჩენა არასახელმწიფოებრივია. ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ამ ფაქტზე გამოძიების დაწყებით ხელისუფლება თვითკრიტიკულობას ამჟღავნებს.**

**ანზორ აბრალავა:**

– დავით ბერძენიშვილის განცხადება პრიმიტიულია. თუ ხელისუფლება საგარეჯოს შუალედური არჩევნების შედეგებს იძიებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის თვითკრიტიკულია. არსებობს ეჭვები და კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს. თუ კითხვები არის თავდაცვის მინისტრთან, მანაც უნდა უპასუხოს შეკითხვებს. ესაა დემოკრატიულობა.

***– რესპუბლიკელების განცხადებით, გამოძიება დაიწყო გოგი თოფაძის ნალაპარაკევის საფუძველზე..***

– მერე, რა არის ამაში არანორმალური? თოფაძეს არა აქვს სიტყვის უფლება? წესით, გამოძიება უნდა აძლევდეს ხელს იმას, ვინც მართალია. ბერძენიშვილის სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ სიმართლის გარკვევა საგარეჯოს არჩევნების შესახებ რესპუბლიკელებს უხერხულობას უქმნის. თვითკრიტიკულობა კარგად ახასიათებს სახელმწიფოს, მათ შორის, ნატოს წინაშეც.

ნატომაც უნდა ნახოს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრი დასმულ შეკითხვებს პასუხობს.

***– ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები. ნაციონალური მოძრაობა უკვე აპირებს, გააპროტესტოს ამ არჩევნების შედეგები და გაიმეოროს 2003 წლის სცენარი.***

– მართლაც, ასეთი გეგმები არსებობს. ეს ძალადობრივი სცენარი გულისხმობს ხელისუფლების გადატრიალებას. სააკაშვილმა პირდაპირ მისცა შესაბამისი დავალებები ნაცმოძრაობის წევრებს. უბედურება ისაა, რომ ნაციონალებისთვის საჭირო პროცესები უკვე დაიწყო.

***– რომელი პროცესებია დაწყებული?***

– ნაციონალების წისქვილზე წყალს ასხამენ ზოგიერთი კერძო საწარმოს მფლობელები.

***– ტყიბულსა და ჭიათურაში მიმდინარე მოვლენები გაქვთ მხედველობაში?***

– დიახ. ამაში საწარმოების მეპატრონეებს ვადანაშაულებ. მშრომელები, რომლებიც გამოდიან, სამართლიან მოთხოვნებს აყენებენ. ისინი სახელმწიფოებრივადაც აზროვნებენ. ხელისუფლება რატომღაც ამაზე არ რეაგირებს.

***– გამოსავალი სად არის?***

– გადასადგმელია მკვეთრი ნაბიჯები. უნდა მოხდეს საქნახშირის ნაციონალიზაცია. შესასწავლია, ვინ არიან მისი მფლობელები, რომლებიც მე-19 საუკუნის კაპიტალიზმის წესებით უწევენ ექსპლუატაციას მშრომელებს. საერთოდ, კერძო სექტორში უმძიმესი მდგომარეობაა. მფლობელები მონურად ექცევიან თანამშრომლებს. საქართველოში არსებული შრომითი ურთიერთობები ევროპასთან კი არ არის მიახლოებული, არამედ, მონათმფლობელურია და არა – პარტნიორული.

***– ამ ხელისუფლებამ შრომითი კოდექსი გააუმჯობესა.***

– სად ჩანს ამის შედეგები? ჯერ ერთი, თუ საჭიროა, კიდევ შევიდეს ცვლილებები. მეორეც, შრომით კოდექსში არ წერია, რომ ადამიანს არაადამიანური პირობები უნდა შეუქმნა. ევროპისგან განსხვავებით, საერთოდ ვერ ვხედავ პროფკავშირების აქტიურობას. საქართველოში პროფკავშირულ საქმიანობას ხელი არ ეწყობა.

***– ნაციონალები გაზპრომის თემაზეც გამოდიან.***

– ნაციონალები არ იყვნენ, მაგისტრალური მილსადენის მიყიდვას რომ აპირებდნენ რუსეთისათვის? ამაზე დოკუმენტები არსებობს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი რომ არა, ეს სტრატეგიული ობიექტი რამდენიმე წლის წინ რუსეთის იქნებოდა. ხელისუფლებას, რომელიც ვიწრო პოლემიკითაა დაკავებული, შეუძლია ამაზე ანალიზი გააკეთოს და ნაცმოძრაობას უპასუხოს. საქმე ისაა, რომ ნაცმოძრაობას პასუხს ვერ უბედავენ.



# გიორგი გაჩეჩილაძე: „ჩემს ფეისბუქგვერდზე კიბერშეტევა უკრაინიდან განხორციელდა“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის წევრისა და მწვანეთა პარტიის ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, მის საიტებზე კიბერშეტევა განხორციელდა.**



გიორგი გაჩეჩილაძის ინფორმაციით, სპეციალისტების დასკვნით, მისი საიტების დაბლოკვა უკრაინიდან მოხდა.

დეპუტატი ამ ფაქტს ნაცმოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის შესახებ გაკეთებულ განცხადებებს უკავშირებს.

– საიტი დამიბლოკეს და 4600 მეგობარი წაიშალა, აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

***– ვინ განახორციელა კიბერშეტევა?***

– ჩემს ფეისბუქგვერდზე კიბერშეტევა ქვეყნის გარედან, უკრაინიდან განხორციელდა.

***– თქვენ გაარკვიეთ, რომ ნამდვილად უკრაინიდან მოხდა კიბერშეტევა?***

– მე კი არ გავარკვიე, სპეციალისტებმა თქვეს, კიბერშეტევა შიგნიდან არ არის განხორციელებული, გარედან შეტევის სუნი უდისო.

***– თქვენ ოფიციალურად მიმართეთ სპეციალურ სამსახურებს და მათ გაცნობეს, რომ შეტევა უკრაინიდან განხორციელდა?***

– არა. სპეცსამსახურებს რატომ უნდა მივმართო. საქართველოს ისეთი დონის სპეციალისტები ჰყავს, რომლებსაც შეუძლიათ ამის დადგენა. არავითარი სპეცსამსახური არ მჭირდება.

გიორგი გაჩეჩილაძის საიტების დაბლოკვა, სააკაშვილის რუსეთის აგენტობასა და ნაცმოძრაობის პუტინთან თანამშრომლობაზე მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს მოჰყვა.

როგორც დეპუტატი აცხადებს, სააკაშვილი ახლაც თანამშრომლობს რუსეთთან. ამის დასტურად კი, სხვა ბრალდებებთან ერთად, ამერიკულ გაზეთ „ფოლინ პოლისში“ დაბეჭდილი ინტერვიუ მოჰყავს.

გიორგი გაჩეჩილაძე ნაცმოძრაობასა და სააკაშვილს, ფაქტობრივად, ზურაბ ჟვანიას მკვლელობაშიც ადანაშაულებს.

დეპუტატი 2005 წელს ნაცმოძრაობის დროს სტრატეგიული მილსადენის გაზპრომისთვის მიყიდვის გადაწყვეტილებასა და ჟვანიას მკვლელობის ურთიერთკავშირზე საუბრობს.

***– როგორ ფიქრობთ, რით იყო განპირობებული ასეთი ქმედება?***

– კიბერშეტევა განხორციელდა იმ ინფორმაციის გამო, რომელზეც ვისაუბრე და ეხებოდა მიშას რუსეთის აგენტობას, სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის რუსეთის სასარგებლოდ მუშაობას.

მათ ქვეყნის წინაშე დიდი დანაშაული აქვთ ჩადენილი. ამიტომ ძალიან მაღიზიანებს, როცა ნაცმოძრაობა სხვას ურჩევს საკითხებს.

***– კერძოდ, რა დანაშაულობებს გულისხმობთ?***

– ნაცმოძრაობასა და სააკაშვილს ისეთი დანაშაულები აქვთ ჩადენილი, რომელიც მხოლოდ ტერიტორიულ მთლიანობას, წამებებსა და სხვა საკითხებს კი არა, საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქციის დასუსტებას ეხება.

***– მაგალითად, რა გაღიზიანებთ ნაცმოძრაობის მოქმედებებში?***

– მაღიზიანებს, როცა ნაცმოძრაობა გაზპრომთან მოლაპარაკებებზე საუბრობს. ნაცმოძრაობამ გაზპრომთან მოლაპარაკება 2005 წელს დაიწყო. ნაციონალები მხოლოდ გაზის მიწოდებასა და გატარებაზე კი არ თანხმდებოდნენ რუსეთს, არამედ სტრატეგიული მილის გაზპრომისათვის მიყიდვაზეც, რომლითაც გაზი საქართველოს გავლით სომხეთს მიეწოდება. ეს არის რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი მილი, რომელიც რუსეთისთვის სტრატეგიული იყო და ახლაც სტრატეგიულია. მაშინ კახა ბენდუქიძე იყო ეკონომიკის მინისტრი. ის მოელაპარაკა გაზპრომს 2005 წლის 21 იანვარს და განაცხადა, გადაწყვეტილია, გაზპრომს სტრატეგიულ მილსადენს მივყიდითო. მაშინ ზურაბ ჟვანია იყო პრემიერ-მინისტრი, 31 იანვარს ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ მილსადენი არ გაიყიდებოდა. ვფიქრობ, შიგნით ჩხუბი მოხდა (თარიღებს დააკვირდით) და 3 თებერვალს ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა.

გიორგი გაჩეჩილაძე ნაცმოძრაობის დროს 200-მილიონიანი სახაზინო ვალდებულებებით ვაჭრობაზეც საუბრებს, რაც ნოღაიდელის ფინანსთა მინისტრობის პერიოდს უკავშირდება.

დეპუტატი ამბობს, რომ 200-მილიონიანი სახაზინო ვალდებულებებით ვაჭრობის საქმე გამოძიებულია და პროკურატურაში დევს.

– ჟვანიას მკვლელობის შემდეგ პრემიერად დაინიშნა ნოღაიდელი. ნოღაიდელზე საქმე იყო აღძრული, სახაზინო ვალდებულებებით ვაჭრობასთან დაკავშირებით, როცა ფინანსთა მინისტრი იყო. 200 მილიონზეა საუბარი.

ეს საქმე გამოძიებულია და დევს პროკურატურაში. ასეთი კაცი დანიშნეს პრემიერ-მინისტრად. ნოღაიდელმა განაცხადა, რომ როგორც პრემიერ-მინისტრი, თანახმაა მილსადენი გაზპრომს მიყიდოს.

შემდეგ შეერთებული შტატები ძალიან სერიოზულად ჩაერია და, ფაქტობრივად, გაყიდვის პროცესი შეაჩერეს, თორემ აღნიშნული მილსადენი ახლა გაზპრომის იქნებოდა, ჩვენი გეოპოლიტიკური ფუნქცია კი დასუსტებული, – აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

– ნაცმოძრაობა რომ გამოხტება ხოლმე და „რუსთავი-2“-ზე ატრიალებს კაბელის გაყიდვის საკითხს – თითქოს რუსულ კომპანიასა და „კავკასუსს“ შორის მოლაპარაკებებია. მიაქციეთ ყურადღება, „ბილაინი“, რომელიც იმ რუსული დიდი საკომუნიკაციო კომპანიის შემადგენელი ნაწილია, 2006 წელს ნაციონალებმა შემოიყვანეს საქართველოში და ყველანაირად ხელს უწყობდნენ. „ბილაინის“ მოწილეა „რუსთავი-2-ის“ ერთ-ერთი მფლობელი, – აღნიშნავს გიორგი გაჩეჩილაძე.

დეპუტატის განცხადებით, სააკაშვილი ყველაზე მეტად ამერიკულ გაზეთ „ჰოლინგ პოლისში“ მის რუსეთის აგენტობაზე დაბეჭდილი სტატიის გახმოვანებამ გაამწარა. მის საიტებზე კიბერშეტევაც ამიტომ განახორციელებინა.

– ნაცმოძრაობა ირანთანაც თანამშრომლობდა ფინანსური თვალსაზრისით იმ პერიოდში, როცა ამერიკასა და დასავლეთს სანქციები ჰქონდა დაწესებული. წინა ხელისუფლება კი თანამშრომლობდა ამ კუთხით, ფულის ნაკადებთან დაკავშირებით, ქართული ბანკების გამოყენებით. დიდი საყვედურებს გამოთქვამდნენ შეერთებულ შტატებში, თუ როგორ აკეთებდნენ ამას, როცა ქვეყანას სანქციები ჰქონდა დაწესებული. წინა ხელისუფლება სანქციებს არღვევდა.

***– ეს რას ნიშნავს?***

– გარკვეულ ძალებს სურთ წარმოაჩინონ ისე, თითქოს ნაცმოძრაობაა ერთადერთი დასავლური ძალა საქართველოში, ხოლო დღევანდელი ხელისუფლება არ არის დასავლური ორიენტაციის.

თავის დროზე ნაცმოძრაობამ ყველაფერი გადასცა რუსეთს – რაც კი მოითხოვა პუტინმა, ყველაფერი მის ხელში აღმოჩნდა ნაცმოძრაობის წყალობით.

ახლანდელი ხელისუფლების დროს კი ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, აბრეშუმის ხაზი გაიხსნა.

# „ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტზე მკაცრი რეაგირება იქნება“

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების თქმით, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტზე მკაცრი რეაგირება იქნება.

დეპუტატები აცხადებენ, რომ ამ საქმის გამოძიება უპირველესად ხელისუფლების ინტერესშია.

– არ ვარ ინფორმირებული ამ ფაქტის შესახებ, მაგრამ რა თქმა უნდა, ამაზე გვექნება ძალიან მკაცრი რეაგირება, – განაცხადა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა.




მომხდარი „ძალიან ცუდ ფაქტად“ შეაფასა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ.

– საბედნიეროდ, არიან ამ სამწუხარო ფაქტის თვითმხილველები. უპირველეს ყოვლისა, ეს ხელისუფლების ინტერესშია სასწრაფოდ იქნას მომხდარი ფაქტი გამოძიებული და მე დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიება უკვე დაწყებულია. არ მგონია, რომ ამ დანაშაულის გახსნა შეუძლებელი იყოს ძალიან მცირე დროში, – აღნიშნა კვაჭანტირაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სომხური პრესა: „საქართველომ აფხაზეთის და ოსეთის დაკარგვით ვერაფერი ისწავლა“



„პირველი შემთხვევა არ არის, როცა საქართველო სომხეთისათვის „მეგობრული მტრის“ როლს ასრულებს. მართალია, ქართულ დროშაზე ქრისტიანული ჯვარია გამოსახული, მაგრამ საქართველოს მთავრობისათვის სარწმუნოებრივ, ქრისტიანულ ძმობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. არადა, ისლამური ქვეყნების გარემოცვის ოკეანეში მდებარე ორი მეზობლის ერთმანეთთან სოლიდარობა ორივესთვის სიკეთის მომტანი და გამართლებული იქნებოდა“ – ამის შესახებ ამერიკაში გამომავალ სომხურ გაზეთ „თჰე ღრმენიან ირრორშპეცტატორ“-შინ გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი.

მასალის მიმოხილვას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

საბჭოთა პერიოდში ეთნიკური დაპირისპირებები ცენტრალური ხელისუფლების ზეწოლის მიერ იყო მიყუჩებული. საქართველოსა და სომხეთს ერთმანეთთან მაინცდამაინც დიდი სიყვარული არ ჰქონდათ, რადგან, სანამ ორივე საბჭოთა იმპერიაში გაერთიანებოდნენ, მათ შორის ომიც მოხდა და ამ ომის შედეგად ჯავახეთი საქართველომ მიისაკუთრა. იმპერიის დაშლის შემდეგ კი ორივე მეზობელი სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების მქონე ბანაკში მოხვდნენ და ერთმანეთთან ანტაგონისტური გრძნობებიც გაღვივდა. ისტორიული გარემოებების გამო სომხეთი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე გახდა და თავის ტერიტორიაზე მოსკოვს სამხედრო ბაზის განლაგების ნება მისცა, საქართველომ კი იმედის მზერა დასავლეთს მიაპყრო და ნატოში გაწევრიანება მოისურვა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მნიშვნელოვნად დაზარალდა თავისი პროდასავლური ორიენტაციის (მიხეილ სააკაშვილის მიერ გატარებული უჭკუო პოლიტიკის) გამო, მომდევნო ხელისუფლებამ – „ქართული ოცნების“ მთავრობამ პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი მაინც არ შეცვალა.

სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა 12 თებერვლის გამოსვლაში განაცხადა, რომ „ჩვენს მეზობლებთან – საქართველოსთან და ირანთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა გვაქვსო“, მაგრამ გასაგებია, რომ ეს იყო პოლიტკორექტული გამოთქმა იმ მიზნით, რომ მათთან, განსაკუთრებით კი თბილისთან, სიტუაცია არ გაემწვავებინა.

სინამდვილეში ცხადია, რომ სომხეთს ირანთან და საქართველოსთან სხვადასხვა დონისა და ფუნდამენტის მქონე ურთიერთობა აქვს. ირანს ზოგჯერ შეუძლია სომხეთის ინტერესების იგნორირება მოახდინოს, მაგრამ ამას ისე აკეთებს, რომ მეზობელს დიდი ზიანი არ მიაყენოს. ქართველები კი თავიანთი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით სომხების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ და ამით სომხებს ტკივილს აყენებენ. ქართველები სხვა ეთნოსების მიმართ უკიდურეს ქსენოფობიას ამჟღავნებენ და სურთ, რომ ეროვნული უმცირესობის ასიმილირება მოახდინონ. ეს განსაკუთრებით ჯავახკში მცხოვრებ სომხებს ეხება. გამოდის, რომ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დაკარგვით საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერაფერი ისწავლა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში სომხეთს ვირტუალური მტრის სახე აქვს. გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველო გამომწვევად უჭერს მხარს თურქეთისა და აზერბაიჯანის პოზიციას, რითაც სომხეთს ზიანს აყენებს და ფეხქვეშ თელავს იმ „კეთილმეზობლურ სულისკვეთებას“, რომლის დაცვას სომხეთი უშედეგოდ ცდილობს.

სომხეთი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის („ოდკბ“) წევრია და თავის უშიშროების განმტკიცებას ამ ორგანიზაციის მეშვეობით უზრუნველყოფს, თუმცა მოსკოვის პოლიტიკა გაკვირვებას იწვევს: რუსეთი ჩუმადაა, როცა აზერბაიჯანი სომხური ტერიტორიების მიტაცებას ცდილობს. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ რუსეთი ასევე ჩუმად აწვდის ბაქოს თანამედროვე შეიარაღებას. ეს პრობლემები „ოდკბ“-ის გენერალურ მდივანს ნიკოლაი ბორდიუჟას მაინდამაინც არ აღელვებს. ამ პოლიტიკურ ფონზე კი საქართველო თურქეთთან და აზერბაიჯანთან სტრატეგიულ კავშირებს აღრმავებს, რითაც სომხეთს კისერზე ყულფს უჭერს.

ამას წინათ, 19 თებერვალს, თბილისში საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების მიხეილ ჯანელიძის, მევლიუთ ჩავუშოღლუსა და ელმარ მამედიაროვის შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც მათ კარწახის რკინიგზის სასაზღვრო სადგური მოინახულეს. სამივე მინისტრმა ქება-დიდება უძღვნა ბაქო-თბილისი-ყარსის „ისტორიული“ რკინიგზის მშენებლობას და მის მნიშვნელობას, რომელიც „აბრეშუმის ახალი გზის“ პროექტის ჩარჩოებში სომხურენოვან ჯავახკის რეგიონში, ახალქალაქზეც გაივლის, სომხეთის გვერდის ავლით. აზერბაიჯანელმა ელმარ მამედიაროვმაც სწორედ ამას გაუსვა ხაზი – „სომხეთი ბევრს წააგებს, ასეთ პროექტებში რომ არ მონაწილეობსო“.

მაგრამ ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ეკონომიკური განცხადებების გარდა, მინისტრების ტრიომ ხელი მოაწერა პოლიტიკურ დეკლარაციას, რომლის თანახმად, ისინი მხარს უჭერენ მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებას საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე, კერძოდ, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპების გათვალისწინებით“. აშკარაა, ეს სიტყვები შენიღბულია და სინამდვილეში ალიევების დინასტიის ტერიტორიულ ამბიციებს ასახავს. [დეკლარაცია] ეწინააღმდეგება ჰელსინკის აქტს, რომლის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარება შეთავსებული უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებასთან.

საქართველო დაუფიქრებლად უჭერს მხარს აზერბაიჯანის პოზიციას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხში, სომხეთი კი იძულებულია თავი შეიკავოს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის აღიარებისაგან, რათა თავიდან აიცილოს თბილისთან კონფრონტაცია.

ირანის მიმართ სანქციების მოხსნამ კავკასიაში ბუნებრივი გაზის საკითხში პოზიციების შეჯახება გამოიწვია: აქ ერთმანეთთის კონკურენტები რუსეთი, ირანი და აზერბაიჯანი არიან. გაისმა საუბარი იმაზე, რომ სომხეთი შეიძლება საქართველოსთვის სატრანზიტო ქვეყანა გახდეს ირანიდან გაზის მიღების საკითხშიო. მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ თბილისმა გადაიფიქრა – ვაითუ ბაქო გაბრაზდესო: კახა კალაძემ უკვე განაცხადა, რომ „აზერბაიჯანულ ტრანზიტზეც უნდა ვიფიქროთ, ეს ვარიანტიც უნდა განვიხილოთო“.

თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობამ შლიუზები გაუხსნა თურქული კაპიტალის შეჭრას საქართველოში. ვააგნ ჩახალიანმა, ჯავახკის პოლიტიკურმა აქტივისტმა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში საპყრობილეში იჯდა, სომხების გასაგონად მიმართვა გამოაქვეყნა, რომლის დედააზრი ასეთია: „არა საქართველოს თურქიზაციას“. მან ისიც აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილის დროს დათესილი თურქული თესლი უკვე აღმოცენდა და საქართველოს თურქიზაციის პროცესი სწრაფი ტემპით მატულობს, უკანდასახევი წერტილი უკვე გადაკვეთილია“. მიმართვაში ხაზგასმულია, რომ თურქები არა მარტო სომხების, არამედ ქრისტიანი ქართველების დისკრიმინაციასაც ახდენენ. სამწუხაროა, რომ საქართველოს მთავრობა ქვეყნის ტერიტორიაზე თურქული სამხედრო ბაზების განლაგებასაც კი დათანხმდა, რაც საქართველოს თურქიზაციის დასასრული იქნება.

გასაგებია, რომ შეერთებული შტატები და ნატო ამ გადაწყვეტილებას მიესალმებიან და მას „სტაბილურობის განმტკიცებაში შეტანილ წვლილად“ მიიჩნევენ. თუმცა რუსეთისა და თურქეთის გამწვავებული ურთიერთობის პირობებში ეს ნაბიჯი უფრო მოსკოვის გაღიზიანებას ემსახურება და თურქული ბაზის განლაგების უპირველესი მსხვერპლი სწორედ სტაბილურობა იქნება. ისეთ მეგობარს რეგიონში, როგორიც საქართველოა სომხეთისათვის, მტერიც კი არ გვისურვებს.

**ნიუსპრესი**

# მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციის აკრძალვა სავარაუდოდ, 2017 წლამდე გადაიდება



მარჯვენასაჭიან ავტომანქანებზე რეგულაციების ამოქმედების კონკრეტული თარიღი ჯერჯერობით, უცნობია.

როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილე თემურ მაისურაძე, „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბარში აღნიშნავს, გადაწყვეტილებას ყველა არგუმენტის გათვალისწინებით მიიღებენ.

მისი თქმით, კომიტეტმა განიხლა კანონპროექტი, რის შემდეგაც დადგინდა, რომ ბიზნესისთვის გონივრული ვადის მიცემა აუცილებელი იყო.

– მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციის აკრძალვა სავარაუდოდ, 2017 წლამდე გადაიდება. გადადებას ერთადერთი მიზეზი აქვს, ბიზნესი არ უნდა დაზარალდეს. არავის არ უნდა შეექმნას პრობლემა გადარიცხული თანხების, დადებული ხელშეკრულებების, დაწყებული მოლაპარაკებების გამო.

ყველა ხელშეკრულება, რომელიც 2016 წლის ბოლომდეა დადებული, უნდა განხორციელდეს, – აღნიშნავს თემურ მაისურაძე.

მისი განცხადებით, პარლამენტმა განიხილა კონკრეტული წინადადებები და ბიზნესის წარმომადგენლებთან ინტენსიური შეხვედრების შედეგად, რეგულაციების შემოღება დროებით შეაჩერა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილე აღნიშნავს, რომ თავდაპირველად დასახელებული სამთვიანი ვადა შესყიდული ავტომობილების ტრანსპორტირებისა და განბაჟებისთვის სრულიად საკმარისი იყო.

ბიზნესთან კონსულტაციების დროს კი აღმოჩნდა, რომ მათ ბევრი ისეთი ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული, რომელიც თანამშრომლობას წლის ბოლომდე გულისხმობდა.

– როცა კანონპროექტზე მუშაობა დავიწყეთ, მაშინ მიდგომა იყო ასეთი – ტრანსპორტირების სტადიაზე მყოფი ავტომობილის რეალიზაციას ხელი არ შეშლოდა და დილერებს აღებული დაკვეთების შესრულება მოესწროთ.

მსჯელობის შედეგად კი გადავწყვიტეთ, რომ ცოტა უფრო შორს გაგვეხედა და არც ისინი დაგვეზარალებინა, რომელთაც უფრო გრძელვადიანი ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული, – განაცხადა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილემ.

თემურ მაისურაძე აცხადებს, რომ 2016 წელი იქნება ბოლო პერიოდი ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შემოსაყვანად. მისი თქმით, უფრო გრძელვადიანი ხელშეკრულებების გათვალისწინება შეუძლებელია.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები წინ მიდის

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის იანოშ ჰერმანის განცხადებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები წინ მიდის.




როგორც ჰერმანმა ჟურნალისტებს განუცხადა, თარიღებს, თუ როდის დაიწყებს ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვას, თავად საბჭო და ევროპარლამენტი დაასახელებენ.

– ეს პროცესები წინ მიდის. თარიღებს საბჭო და პარლამენტი დაასახელებენ. ამ საკითხზე ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ, როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე თქვენს მთავრობასთან, მაგრამ კონკრეტული პასუხის გაცემა ახლა არ შემიძლია, – განაცხადა იანოშ ჰერმანმა. არსებული ინფორმაციით, ევროკომისია ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს საქართველოსთვის ვიზალიბერელიზაციასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივით მარტში მიმართავს.

**ინტერპრესნიუსი**

## თინა კანდელაკი თავის სააგენტოს ყიდის



რუსეთში მოღვაწე ცნობილი ტელეწამყვანი თინა კანდელაკი საკომუნიკაციო სააგენტო „აპოსტოლს“ ყიდის.

რუსული მედიის ცნობით, შარშან ივლისში კანდელაკი სპორტული ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი გახდა, ამიტომ სააგენტოსთვის დრო აღარ აქვს.

„აპოსტოლის“ სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრში აცხადებენ, რომ ამჟამად განიხილება სააქციო გარიგების ვარიანტი, რომლის ფარგლებში სააგენტოს შემადგენლობაში შესაძლოა, საერთაშორისო საინვესტიციო ფონდი შევიდეს.

არსებული პროგნოზით, „აპოსტოლი“ დაახლოებით 1,2-1,5 მილიარდი რუბლი ღირს. თინა კანდელაკი სააგენტოს აქციების 99,5 %-ის მფლობელია.

**ინტერპრესნიუსი**

# ელექტროენერგიის მოხმარება გაზრდილია



ელექტროენერგიის მოხმარება ქვეყნის შიგნით 2016 წლის იანვარში წლიურად 0.7%-ით არის გაზრდილი – ინფორმაციას ამის შესახებ Galt&Taggart ავრცელებს. როგორც ელექტროენერგიის ბაზრის კვლევაშია ნათქვამი, „თელასის“ მოხმარება, რომელიც თბილისს და მიმდებარე ტერიტორიას ემსახურება, წლიურად 8.3%-ით არის გაზრდილი.

„თელასის“ მოხმარებამ იანვარში განაწილების ლიცენზიანტების მოხმარების 37.1% შეადგინა. რეგიონების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია უმნიშვნელოდ, მხოლოდ 0.5%-ით არის გაზრდილი. რეგიონებს ელექტროენერგიით უმეტესწილად „ენერგო-პრო ჯორჯია ამარაგებს“, რომლის მოხმარების წილმაც განაწილების ლიცენზიანტების მოხმარების 58.6% შეადგინა. 2016 წლის იანვარში მნიშვნელოვნად არის შემცირებული კვალიფიციური საწარმოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია.

აღნიშნული კლება, რომელმაც 25.4% შეადგინა, უმეტესწილად „ჯორჯიან მანგანეზის“ გამო მოხდა.

კომპანიის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28.3%-ით არის შემცირებული. აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერგიის მოხმარების ტენდენცია კვლავაც მზარდია; იანვარში 7.7%-იანი წლიური ზრდა დაფიქსირდა.

აფხაზეთის რეგიონის მოხმარებამ ქვეყნის შიგნით მოხმარებული ელექტროენერგიის 23.3% შეადგინა. აფხაზეთს ელექტროენერგია ექსკლუზიურად ენგურისა და ვარდნილის ელექტროსადგურებიდან მიეწოდება.

იანვარში მარეგულირებელი ჰესების გამომუშავებული ელექტროენერგიის 93.7% აფხაზეთის რეგიონმა მოიხმარა.

**ინტერპრესნიუსი**




# რა გავაკეთოთ ცხვირიდან სისხლდენის დროს

ეპიტაქსისი, ცხვირიდან სისხლდენა, ცხვირის დაავადების სიმპტომიც შეიძლება იყოს და სხვა ორგანოსიც. ზოგჯერ ცხვირიდან სისხლი ჯანმრთელ ადამიანებსაც სდით. ცხვირიდან სისხლდენა შეიძლება გამოიწვიოს: ტრავმამ, ცხვირისა და ცხვირის ახლომდებარე წიაღების დაავადებებმა (მაგალითად, რინიტმა – ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებამ, ჰაიმორიტმა – ზედა ყბის წიაღის ლორწოვანის ანთებამ), ზოგიერთმა მედიკამენტმა; სისხლის პათოლოგიებმა და სხვა.

ცხვირიდან ძლიერი, შეუპოვარი სისხლდენის დროს დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს. სპეციალისტი დაადგენს მიზეზს და სათანადო მკურნალობას დანიშნავს.

ცხვირიდან სისხლდენა ყოველთვის არ არის დაავადების ბრალი. ის შეიძლება სავსებით ჯანმრთელ ადამიანსაც განუვითარდეს, უმეტესად – ემოციური დაძაბულობის ან ფიზიკური დატვირთვის შედეგად. ასეთ დროს სისხლდენა ხანმოკლე და სუსტია და უმეტესად თავისთავად წყდება.

ჯანმრთელ ადამიანს ცხვირიდან სისხლი შეიძლება სიცივეშიც წასკდეს – ეს იმიტომ, რომ ცივი და მშრალი ჰაერით დიდხანს სუნთქვისას ცხვირის ლორწოვანი გარსი შრება და წვრილი კაპილარები სკდება.



ეპიტაქსისის მიზეზად შეიძლება იქცეს მზის დაკვრაც. ამ დროს სისხლდენას თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, ყურების შუილი ახლავს თან. არც გულის წასვლაა გამორიცხული.

ცხვირიდან სისხლდენის მიზეზი უმეტესად ძგიდის წინა ნაწილის (ე.წ. კისელბახის ადგილის) სისხლძარღვთა დაზიანებაა. ცხვირის ძგიდის ეს უბანი განსაკუთრებით მდიდარია წვრილი არტერიოლებითა და კაპილარებით.

გაცილებით უარესია ცხვირის ღრუს ზედა და უკანა ნაწილის სისხლძარღვების დაზიანება. ამ უბნების სისხლძარღვები გაცილებით მსხვილია. ამიტომ მათი დაზიანების შედეგად განვითარებული სისხლდენა უფრო ინტენსიური და სახიფათოა. ასეთ დროს კაშკაშა ალისფერი სისხლი ინტენსიურად მოედინება (შესაძლოა, პირის ღრუდანაც გადმოდიოდეს) და პრაქტიკულად არ წყდება. ამ სახის ეპიტაქსისის ერთ-ერთი გამოვლინებაა სისხლიანი ღებინება სისხლის გადაყლაპვის გამო.

ცხვირის ტრავმის დროს (დარტყმა, დაცემა) დიდია ცხვირის სტრუქტურათა (ხრტილის, ძგიდის, ძვლების, მახლობელი წიაღების) დაზიანების ალბათობა. ტრავმით გამოწვეულ ეპიტაქსისს, წესისამებრ, თან ახლავს ცხვირისა და მის გარშემო არსებული ქსოვილების ტკივილი და შეშუპება.

როდესაც ეპიტაქსისი თავის ტკივილის, სურდოსა და სიცხის ფონზე აღმოცენდება, მიზეზია წიაღების ანთება – სინუსიტი (ფრონტიტი – შუბლის წიაღის ლორწოვანის ანთება – ან ჰაიმორიტი, ზედა ყბის წიაღის ლორწოვანის ანთება).

ეპიტაქსისის მიზეზად შეიძლება იქცეს სისხლის შედედების შემაფერხებელი პრეპარატების (ვარფარინის, ჰეპარინის, ასპირინის) ხანგრძლივი გამოყენებაც.

* * *

ცხირიდან სისხლდენა ყოველთვის არც ბავშვებშია პათოლოგიის ნიშანი. ის ზოგჯერ ცხვირის ლორწოვანი გარსის მექანიკური გაღიზიანების (თითით ან რაიმე საგნით) შედეგია, ზოგჯერ კი ცხვირის ტრავმის ან ცხვირის ღრუში უცხო სხეულის (მცირე ზომის სათამაშო, მარცვალი და ა. შ.) მოხვედრისა.

თუ ბავშვს ცხვირიდან სისხლის კოლტებთან შერეული ლორწოვანი გამონადენი აქვს, ეს რინიტზე მიუთითებს, ხოლო ხშირი, სილურჯეებსა და სისხლჩაქცევებთან შეუღლებული ეპიტაქსისი ჰემოფილიის ან სისხლის შედედების პროცესის დარღვევასთან დაკავშირებული სხვა დაავადების სიმპტომია.

### რა უნდა გავაკეთოთ სისხლდენისას

1. ადამიანი უნდა დავსვათ და თავი ოდნავ წინ დავახრევინოთ. დაუშვებელია თავის უკან გადაწევა (ჩვეულებრივ, სწორედ ეს შეცდომა მოსდით, როდესაც ცხვირიდან სისხლდენის შეჩერებას ცდილობენ) – შესაძლოა, ადამიანს სისხლი გადაეყლაპოს, გულისრევა აუვარდეს ან სისხლი სასუნთქ გზებში გადასცდეს.

2. ეპიტაქსისის დროს აუცილებელია სუფთა ჰაერის მიწოდება. ადამიანს უნდა შეუხსნათ საყელო და გამოაღოთ სარკმელი, რათა თავისუფლად ისუნთქოს.

3. სასურველია, ცხვირთან ყინულების მიდება. თუ სისხლდენა არ შეწყდა, თითით ნესტოს ისე უნდა მიაწვეთ, რომ ის ცხვირის ძგიდეს მიებჯინოს და 5-10 წუთს ასე გაჩერდეთ. ნესტოზე თითის მიჭერის დროს ლორწოვანი გარსის სისხლძარღვებზე ზეწოლა ხდება და სისხლდენა უმეტესად წყდება.

4. ეპიტაქსისის დროს არ შეიძლება ცხვირის მოხოცვა. ეს ხელს უშლის სისხლის კოლტის წარმოქმნას და სისხლძარღვის დეფექტის არეში მის დაცობას. აქედან გამომდინარე, სისხლდენა არათუ შეწყდება, შესაძლოა გაძლიერდეს კიდეც.

5. თუ ეპიტაქსისის დროს ადამიანს გული წაუვიდა, აუცილებლად უნდა დააწვინოთ ზურგზე, თავი გვერდზე მიუბრუნოთ და სასწრაფოდ გადაიყვანოთ კლინიკაში.

6. თუ ეპიტაქსისი ტრავმით არის გამოწვეული და ცხვირის კონტურის ან მთელი სახის შეშუპება და დეფორმაცია ახლავს თან, პაციენტს ცხვირის არეზე ცივ წყალში დასველებული ნაჭერი ან ყინულები უნდა დაადოთ, მერე კი სასწრაფოდ მიმართოთ ექიმს.

* * *

ტრავმის შედეგად განვითარებული ეპიტაქსისის დროს, როდესაც აღინიშნება ცხვირის კონტურის ან მთელი სახის დეფორმაცია, ცხვირის მიმდებარე ქსოვილები შეშუპებული და მტკივნეულია;

ცხვირიდან ინტენსიური სისხლდენისას, რომელიც განვითარდა მაღალი არტერიული წნევის ფონზე ან ზემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტების ხანგრძლივი მიღების გამო;

როდესაც ეპიტაქსისი ცხვირის ღრუში მოხვედრილი უცხო სხეულის ბრალია. ასეთ დროს არაფრით არ შეიძლება საკუთარი მეთოდებით უცხო სხეულის ამოღება. დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს (ოტორინოლარინგოლოგს).

როდესაც ეპიტაქსისი 30 წუთზე მეტხანს გრძელდება და ჩვენ მიერ რეკომენდებული საშუალებები უეფექტოა.

ხშირი სისხლდენის დროს, რომელიც დიდხანს არ წყდება, შეუღლებულია სილურჯეებსა და სისხლჩაქცევებთან, თან ახლავს ინტენსიური სისხლდენა ღრძილებიდან და სხვა.

# რა იწვევს გულის ფრიალს



გულის კუნთი მთელი სიცოცხლე შეუსვენებლად ემსახურება ადამიანს. იგი განუწყვეტლივ იკუმშება განსაზღვრული ტემპითა და რიტმით. ჯანმრთელი ადამიანის გულისცემა რიტმულია და ავტომატური, ესე იგი დამოკიდებული არ არის ადამიანის ნებაზე.

როგორ მუშაობს გული, ჯანმრთელი ადამიანი ვერ ამჩნევს, მაგრამ თუ შეკუმშვათა რიტმი დაირღვა, უმალვე გრძნობს.

გულის ფრიალის ობიექტური მიზეზი არითმიაა – გულის კუნთის შეკუმშვათა ნორმალური რიტმის ცვლილება. ადამიანის ნორმალურ გულისცემას პულსს ვუწოდებთ. არითმია, გულის რიტმული მუშაობის დარღვევა, პულსის გასინჯვის დროსაც იგრძნობა, ამიტომ ხალხში მას პულსის გამოვარდნასაც უწოდებენ.

გულის ფრიალი და გულისცემის შეგრძნება ყოველთვის გულის დაავადების ნიშანი არ არის – ზოგი ადამიანი გულისცემას გულის რიტმის სერიოზული დარღვევის გარეშეც გრძნობს, თუმცა პულსის გამოვარდნა დისკომფორტს იწვევს. ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც გულის განმეორებადი და რეგულარული ფრიალის უყურადღებოდ დატოვება არაფრით არ შეიძლება. გულის ფრიალი შესაძლოა განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით: შფოთვით, სტრესით, პანიკური შიშით, ისტერიკით, კოფეინისა და ნიკოტინის ჭარბი მოხმარებით, კოკაინის ან სხვა აკრძალული ნივთიერებების მოხმარებით, არარაციონალური დიეტით, არანორმირებული ფიზიკური დატვირთვით, ცხელებით;

კარდიული რეფლექსი ზოგჯერ შინაგანი ორგანოების დაავადებითაა პროვოცირებული, უმთავრესად – მუცლის ღრუდან, და ქოლეცისტიტის, გასტრიტისა და პანკრეატიტის ქრონიკულ თუ მწვავე მიმდინარეობას უკავშირდება.

გაგიკვირდებათ და მას შესაძლოა ხერხემლის ისეთმა პათოლოგიებმაც გაუწიოს პროვოცირება, როგორიცაა სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, მალათაშუა დისკოს გამოვარდნა ხერხემლის სვეტიდან და სხვა.

გულის ფრიალი შესაძლოა გულის რომელიმე უკვე არსებული პათოლოგიით იყოს გამოწვეული, მაგალითად: გულის გარსების ანთებითი დაზიანებით (მიოკარდიტი, ენდოკარდიტი, პერიკარდიტი), გულის უკმარისობით, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტით, გულის სარქველების დაზიანებით. შაქრიანი დიაბეტი, არტერიული ჰიპერტენზია, ჰიპერქოლესტერინემია და სხვა;

სისხლში იმ ელექტროლიტების დისბალანსი, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სისხლის ნორმალურ მიმოქცევაში. ასეთებია კალიუმი, ნატრიუმი და კალციუმი;

ფსიქოემოციური გადაძაბვა, ცენტრალური ნერვული ან ვეგეტატიური ნერვული სისტემის ესა თუ ის პათოლოგია, სხეულის ტემპერატურის მკვეთრი დაქვეითება, გადაცივება, ემოციურ-ნევროზული ფონი.

* * *

ტაქიკარდია მდგომარეობაა, როდესაც გულის შეკუმშვათა რიცხვი სხეულის ნორმალური ტემპერატურის პირობებში მოსვენებისას წუთში 80 დარტყმას აღემატება, ხოლო ფეხზე დგომისას – წუთში 100-ს. ტაქიკარდიის დროს პულსმა შესაძლოა წუთში 150 დარტყმას მიაღწიოს. ტაქიკარდია ნორმალურად ითვლება: ფიზიკური დატვირთვის;

ნერვული გადაძაბვის, სხეულის ტემპერატურის მატების დროს.

იმ პირებს, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ და ფიზიკურად შრომობენ ან იღებენ გულის რიტმის შემანელებელ მედიკამენტებს, გულისცემის სიხშირე შესაძლოა წუთში 55 შეკუმშვამდე და უფრო მეტადაც შეუმცირდეთ.

გულის ფრიალი, ჩვეულებრივ, არ არის საშიში, თუ თან არ ახლავს რომელიმე ზემოხსენებულ პათოლოგიურ პროცესს და მის კლინიკურ გამოხატულებას არ წარმოადგენს, მაგრამ თუ ის გულის არანორმალური რიტმის ანუ არითმიის სიმპტომია და რეგულარული ხასიათი აქვს, კარდიოლოგთან დროული ვიზიტი და სათანადო მკურნალობა აუცილებელია.

## სპორტი

### მანჩესტერი და ლივერპული ევროპის ლიგაში ერთმანეთს დაეჯახნენ




პარასკევს ევროპის ლიგის მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა და რამდენიმე ძალიან საინტერესო წყვილიც გამოვლინდა.

ყველაზე მეტ ყურადღებას მანჩესტერ იუნაიტედის და ლივერპულის დაპირისპირება იწვევს, რომელიც ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ პაექრობად ითვლება. გარდა ამისა, უდავოდ გამორჩეულია დორტმუნდის ბორუსიას და ტოტენჰემის წყვილი, სადაც აშკარა ფავორიტი არც ერთი გუნდი არ არის.

სხვა მერვედფინალური წყვილები კი ასე გამოიყურება:

**შახტარი-ანდერლეხტი**
**სპარტა-ლაციო**
**ფენერბახჩე-ბრაგა**
**ბაზელი-სევილია**
**ბილბაო-ვალენსია**

ვილიარეალი-ლევერკუზენი
ლივერპული-მანჩესტერ იუნაიტედი
დორტმუნდი-ტოტენჰემი

მერვედფინალების პირველი მატჩები 10 მარტს, ხოლო განმეორებითები 17 მარტს გაიმართება.

ფინალი 18 მაისს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში ჩატარდება.

### მარკ ბარტრა ინგლისში გადასვლას აპირებს




ბარსელონას ცენტრალური მცველი მარკ ბარტრა სათამაშო პრაქტიკის სიმცირით უკმაყოფილოა და ბარსელონას დატოვებას აპირებს.

ბარტრა პრიმერა დივიზიონის შეხვედრებში მხოლოდ 10-ჯერ გამოვიდა მინდორზე და აშკარაა, რომ ლუის ენრიკე მას ნაკლებად ენდობა.

ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბარტრათი მანჩესტერ იუნაიტედია დაინტერესებული და მზად არის, ფეხბურთელში 12 მილიონი ევრო გადაიხადოს. მანჩესტერის გარდა, ბარსელონას ცენტრალური მცველით სხვა ინგლისური გუნდებიც არიან დაინტერესებულნი, ამიტომ ბარტრას ნისლიან ალბიონზე გადაბარგება საკმაოდ რეალურია.

### მარსელომ ტრავმა მიიღო



მადრიდის რეალის ბრაზილიელმა მცველმა მარსელომ ტრავმა მიიღო, რის გამოც ის ატლეტიკოსთან შეხვედრას გამოტოვებს.

მარსელო რეალის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და მისი არყოფნა ზიდანის გუნდს უდავოდ დაეტყობა. ჯერჯერობით უცნობია, როდის მოახერხებს ბრაზილიელი მცველი მოედანზე დაბრუნებას და არ არის გამორიცხული, მან ლევანტესთან მომავალ ტურში გასამართი შეხვედრაც გამოტოვოს. რეალის და ატლეტიკოს დაპირისპირება შაბათს თბილისის დროით 19.00 საათზე დაიწყება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რუსები სირიაში თავიანთი კონტინგენტის გაზრდას აპირებენ



აშშ-ის ეროვნული დაზვერვის შეფი ჯეიმს კლეპერის აზრით, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია სირიაში რუსული კონტინგენტის გაზრდა.

კლეპერი თვლის, რომ ჯერჯერობით რუსეთი ამისგან თავს იკავებს, რადგან ავღანური გაკვეთილი კარგად ახსოვს.

— თუმცა უკანასკნელ ხანს ასადის არმიის წარმატებებმა ავღანური სინდრომი ერთგვარად გააქარწყლა, — აცხადებს კლეპერი.

დაზვერვის შეფის აზრით, სირიაში რუსული კონტინგენტის გაზრდის საფრთხე 60-70 პროცენტია. ამდენივეა ალბათობა იმისა, რომ მოსკოვი ასადის რეჟიმის გაძლიერებასა და სირიელებისთვის თავს მოხვევას შეეცდება.

— ასადი სირიის მოსახლეობის უმრავლესობას არ სურს. შესაბამისად, მისი ძალად თავს მოხვევა მშვიდობის დამყარებას ხელს არ შეუწყობს, — ამბობს კლეპერი.

# ჯონ ქერი: „თუ ასადი დარჩება, ომი არ შეწყდება“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ კვლავ განაცხადა, რომ ასადი უნდა წავიდეს.

— თუ ასადი ხელისუფლებაში დარჩება, ომს ვერ შევაჩერებთ, — თქვა ქერიმ.

პრეზიდენტმა ობამამ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ უახლოესი დღეები კრიტიკული იქნება.

— მთელი მსოფლიოს ყურადღება ახლა სირიისკენაა მიპყრობილი, — თქვა პრეზიდენტმა, — ეს პერიოდი ტესტია ყველასათვის. ახლა გამოჩნდება, სინამდვილეში მშვიდობა ვის სურს და ვის — არა.

ობამამ განაცხადა, რომ სამშვიდობო შეთანხმება ყველამ უნდა დაიცვას.

— წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გეგმა „ბ“ ამოქმედდება! — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ამ სიტყვებმა კრემლის გაღიზიანება გამოიწვია. ქერის ამჯერად მისმა რუსმა კოლეგა ლავროვმა უპასუხა:

— რუსეთ-აშშ-ის სამშვიდობო შეთანხმებას ალტერნატივა არ გააჩნია. არავითარი გეგმა „ბ“ არ ამოქმედდება. რაც შეეხება ასადის წასვლა-არწასვლას, ეს დღეს აქტუალური არაა. მთავარი ტერორისტების განადგურებაა, — აღნიშნა ლავროვმა.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ბუნდესტაგმა ემიგრაციული კანონმდებლობა გაამკაცრა

გერმანიის პარლამენტმა მიგრანტების შესახებ ახალი კანონი მიიღო. ამიერიდან გერმანიაში თავშესაფრის მიღება გაცილებით ძნელი იქნება.

ასევე პრობლემური ხდება მიგრანტთა ოჯახების გაერთიანების საბაბით ახალი ლტოლვილების მიღება.

— ხშირია შემთხვევა, რომ ცოლი გერმანიაში ჩავიდა, ქმარი კი სირიაში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში დარჩა. ამიერიდან ქმარს გერმანიაში თავშესაფრის მიღება და ოჯახთან ცხოვრების უფლების მიღება გაუჭირდება, — იტყობინება „დოიჩე ველე“.

სამაგიეროდ, ადვილდება მიგრანტთა დეპორტაციის საკითხი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ მართლწესრიგი დაარღვიეს.



# ცსს: „უახლოეს ხანებში უკრაინაში დაძაბულობა არ ჩაცხრება“

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორმა ჯონ ბრენანმა განაცხადა, რომ მოსკოვი უკრაინაში ახალ პროვოკაციებს გეგმავს.

მიზანი უკრაინის დესტაბილიზაციაა.

— უახლოეს მომავალში უკრაინაში დაძაბულობა არ ჩაცხრება, რადგან რუსული სპეცსამსახურების მკვეთრი გააქტიურებაა მოსალოდნელი, — თქვა ბრენანმა.

აღნიშნულ მოსაზრებას უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი, გენერალი იგორ სმეშკოც იზიარებს. მისი აზრით, მინსკის ხელშეკრულებები რუსეთისთვისაა ხელსაყრელი, რადგან ეს მოსკოვს საშუალებას აძლევს, უკრაინაში დესტაბილიზაცია მოახდინოს.

— პუტინს ჩვენი ქვეყნის მიმართ კონკრეტული სტრატეგია გააჩნია: მისი მიზანია, წარმოაჩინოს უკრაინა არშემდგარ სახელმწიფოდ, დაარწმუნოს დასავლეთი, რომ უკრაინის მხარდაჭერა უაზრობაა, დაბლოკოს ჩვენი ევროინტეგრაცია და რუსეთის მიმართ სანქციების გაუქმებას მიაღწიოს, — ამბობს სმეშკო.

# ნავალნის სახეში ტორტი ესროლეს

რუსეთში ოპოზიციონერებისთვის სახეში ტორტის სროლა, როგორც ჩანს, ნორმად იქცა. კასიანოვის შემდეგ ნავალნის ჯერი დადგა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მას ორი ტორტი ესროლეს.



— ჩემთვის ეს იმისი მანიშნებელია, რომ პუტინის რეჟიმს ეფექტურად ვებრძვი! ვლადიმერ ვლადიმიროვიჩს კი ტორტით გამასპინძლებისთვის დიდ მადლობას ვუხდი! რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმწიფარი ყმაწვილის დონეზეა და ხელისუფლებიდან მისი ჩამოშორება აუცილებელია! — თქვა ნავალნიმ.

# ჯიჯი ბუფონი მოსკოვში დაწყებული კარიერის დასრულებას მოსკოვში გეგმავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მორჩეული იყო. რომ არა საშინელი მსაჯობა, იმ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება შეეძლო. 2006 წელს მენტალურად ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ვისთანაც არ უნდა გვეთამაშა, აუცილებლად მოვიგებდით. საბოლოოდ ასეც მოხდა.

***— რომელი იყო იუვენტუსის ყველაზე ძლიერი შემადგენლობა?***

— ვფიქრობ, რომ ყველაზე ძლიერი მაინც 2002-2003 წლების გუნდი იყო, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედით და იქ თერთმეტმეტრიანების სერიაში წავაგეთ. მაშინ მარჩელო ლიპიმ მართლაც ფენომენალური გუნდი შექმნა, მაგრამ დიდ გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა. თუ მხოლოდ შემადგენლობით ვიმსჯელებთ, ფაბიო კაპელოს იუვენტუსს ვერცერთი შეედრება. ასევე, დასაფასებელია ის სამუშაო, რაც ანტონიო კონტემ და მასიმილიანო ალეგრიმ შეასრულეს. ვფიქრობ, იუვენტუსი დღესაც ძალიან ძლიერია.

***— როგორც ჩანს, იტალიის ნაკრებში თქვენი მემკვიდრე გამოჩნდა. რას ფიქრობთ ჯანლუიჯი დონარუმაზე?***

— ქების ღირსია თუნდაც იმიტომ, რომ 16 წლის ასაკში „სან სიროზე“ თამაშობს და მუხლები არ უკანკალებს. ყველაფერს სწორად აკეთებს. დონარუმას ყველა თვისება აქვს იმისთვის, რომ მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გახდეს. ამასთან, ვითარებას სწორად აფასებს, გაწონასწორებულია და მჯერა, რომ ვარსკვლავური სინდრომი არ შეეყრება. ჟურნალისტებიც უნდა შევაქო, რომლებიც დონარუმაზე მოზომილად წერენ და განსაკუთრებულად არ აქებენ. თითქოს ყველა გრძნობს იმ პასუხისმგებლობას, რომ ნიჭიერ მეკარეს დათვური სამსახური არ გაუწიონ და ეს ძალიან კარგია.

***— რთული წარმოსადგენი იყო, რომ წარუმატებელი სტარტის შემდეგ იუვენტუსი სკუდეტოსთვის ბრძოლაში ჩაერთვებოდა.***

— ძალიან მიყვარს ციფრებთან თამაში და სტატისტიკის საფუძველზე პროგნოზების კეთება. როდესაც სასუოლოსთან დავმარცხდით და ვითარება უკიდურესად დამძიმდა, დავჯექი და ყველაფერი გამოვთვალე. სკუდეტოს ან მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად 25 მოგება გვჭირდებოდა, ჩვენს ანგარიშზე კი 3 გამარჯვება იყო ანუ კიდევ 22 მოგება იყო საჭირო დარჩენილ 28 ტურში და ეს სულაც არ მომეჩვენა შეუძლებლად. ამიტომ ოპტიმიზმით ავივსე და ეს განწყობა თანაგუნდელებსაც გადავდე. საბედნიეროდ, საქმე კარგად წავიდა და ჩვენ უკვე ვიბრძვით ჩემპიონობისთვის.

***— სადღეისოდ იუვენტუსი სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი ფავორიტია.***

— გულშემატკივართა ერთი ნაწილი მაშინაც ფავორიტად გვთვლიდა, როდესაც სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში ვიყავით და ბუნებრივია, რომ დღეს ამ პოზიციას კიდევ უფრო მეტი გაიზიარებს. სასიამოვნოა, როდესაც შენს სიძლიერეს სხვები ხედავენ და აღიარებენ. დიახ, იუვენტუსი ფავორიტია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, კონკურენტები ღირსეულ წინააღმდეგობას გაგვიწევენ.

***— პაულო დიბალას სახით იუვენტუსს ახალი ვარსკვლავი ჰყავს.***

— მამაჩემი გიჟდება პაულოზე და თვლის, რომ ის აუცილებლად გახდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. ჩემზე ბედნიერი იყო, როდესაც პალერმოდან იუვენტუსში გადმოვიდა. ვფიქრობ, დიბალას ყველა თვისება აქვს იმისთვის, რომ უდიდესი ფეხბურთი ითამაშოს.

***— რის ხარჯზე შეუძლია იტალიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის მოგება?***

— ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი შემადგენლობა გვყავს და, თუ ფეხბურთელები შესაძლებლობებს სრულად წარმოაჩენენ, ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების კარგი შანსი გვაქვს.

***— მაინც რომელი ფეხბურთელების გეიმედებათ ყველაზე მეტად?***

— ანდრეა პირლო, მარკო ვერატი, კლაუდიო მარკიზიო, ლეონარდო ბონუჩი, ჯორჯო კიელინი, ანდრეა ბარძალი, მატეო დარმიანი და ა.შ. ამ ფეხბურთელებს დიდი მიზნების მიღწევა შეუძლიათ.

***— ფიქრობთ, რომ ანდრეა პირლო ითამაშებს ევროპის ჩემპიონატზე?***

— რა თქმა უნდა. ამაში დარწმუნებული ვარ.

***— რას ისურვებდით 2016 წელს საფეხბურთო თვალსაზრისით?***

— მარტივი პასუხი მაქვს: სკუდეტოს, იტალიის თასის, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ჩემპიონატის მოგებას. მაქსიმალისტი ვარ და სწორედ ეს არის ჩემი წარმატების ფორმულა.

## განცხადებები

### მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი — კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი — ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვანკისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ევროპაში დერბების ტურია

## სტატისტიკა, ფსონები

*ჩინებული ტურია ევროპაში: აპენინებზე დერბი დე იტალიაა... იუვენტუსი-ინტერი... ამით ყველაფერია ნათქვამი... ესპანეთში მადრიდული დერბია და ბოლო წლებში ეს ბევრს ნიშნავს. ბარსელონა და სევილია თბილისურ სუპერთასს ვერ გაიმეორებენ, მაგრამ სანახაობრივი მატჩი კი უნდა გამოდგეს. ინგლისში მანჩესტერი და არსენალი შეებმებიან ერთმანეთს, გერმანიაში საინტერესოდ მოჩანს ვოლფსბურგი-ბაიერნი, ხოლო საფრანგეთში — ლიონი-პსჟ.*



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.02 ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.83 | 3.6 | 4.2 |
| 27.02 ლესტერი-ნორვიჩი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 27.02 საუთჰემპტონი-ჩელსი | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 27.02 სტოკი-ასტონ ვილა | 1.67 | 3.4 | 6.0 |
| 27.02 უოტფორდი-ბორნმუთი | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 27.02 ვესტ ბრომვიჩი-კრ.პალასი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 28.02 მანჩესტერი-არსენალი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 28.02 ტოტენჰემი-სუონსი | 1.44 | 4.2 | 7.5 |

**ვესტ ჰემი-სანდერლენდი**

ვესტ ჰემი: **ტრავმ**-ენდი კეროლი, ჯეიმს ტონკინსი, დიაფრა სახო

სანდერლენდი: **ტრავმ**-ჯერმეინ ლენსი, დანკან უოტმორი

**ლესტერი-ნორვიჩი**

ლესტერი: **ტრავმ**-ჯეფრი შლუპი; **დისკვ**-დანი სიმპსონი

ნორვიჩი: **ტრავმ**-არავინ

**საუთჰემპტონი-ჩელსი**

საუთჰემპტონი: **ტრავმ**-ჯეი როდრიგესი; **დისკვ**-ვიქტორ ვინიამა

ჩელსი: **ტრავმ**-რადამელ ფალკაო, კურტ ზუმა

**სტოკი-ასტონ ვილა**

სტოკი: **ტრავმ**-ჯეფ კამერონი, მარკ უილსონი, ჩარლი ადამი, გლენ ჯონსონი

ასტონ ვილა: **ტრავმ**-ჯორდან ამავი, ლიბორ კოზაკი, ადამა ტრორე

**უოტფორდი-ბორნმუთი**

უოტფორდი: **ტრავმ**-არავინ

ბორნმუთი: **ტრავმ**-ტაირონ მინგსი, გალუმ უილსონი, მაქს გრადელი

**ვესტ ბრომვიჩი-კრ.პალასი**

ვესტ ბრომვიჩი: **ტრავმ**-ჯონათან ევანსი, კალუმ მაკნამანი, ჯეიმს მორისონი

კრ.პალასი: **ტრავმ**-ჯეიმს მაკარტური, ჯეისონ პუნჩეონი; **დისკვ**-პაპე სუარე

**მანჩესტერი-არსენალი**

მანჩესტერი: **ტრავმ**-უილიამ კეინი, ჯეის ლინგარდი, მარუან ფელაინი, უეინ რუნი, მარკოს როხო, ანტონიო ვალენსია, მატეო დარმიანი, ეშლი იანგი, ლუკ შოუ, ბასტიან შვაინშტაიგერი

არსენალი: **ტრავმ**-ჯეკ უილშირი, სანტი კაზორლა, ტომაშ როსიცკი

**ტოტენჰემი-სუონსი**

ტოტენჰემი: **ტრავმ**-მუსა დემბელე, იან ვერტოგენი, კლინტონ მუანჯიე

სუონსი: **ტრავმ**-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 26 | 15 | 8 | 3 | 48-29 | 53 |
| 2.ტოტენჰემი | 26 | 14 | 9 | 3 | 47-20 | 51 |
| 3.არსენალი | 26 | 15 | 6 | 5 | 41-23 | 51 |
| 4.სიტი | 26 | 14 | 5 | 7 | 48-28 | 47 |
| 5.მანჩესტერი | 26 | 11 | 8 | 7 | 33-24 | 41 |
| 6.საუთჰემპტონი | 26 | 11 | 7 | 8 | 34-24 | 40 |
| 7.ვესტ ჰემი | 26 | 10 | 10 | 6 | 40-31 | 40 |
| 8.ლივერპული | 26 | 10 | 8 | 8 | 38-36 | 38 |
| 9.უოტფორდი | 26 | 10 | 6 | 10 | 29-28 | 36 |
| 10.სტოკი | 26 | 10 | 6 | 10 | 27-32 | 36 |
| 11.ევერტონი | 26 | 8 | 11 | 7 | 46-35 | 35 |
| 12.ჩელსი | 26 | 8 | 9 | 9 | 38-36 | 33 |
| 13.კრ.პალასი | 26 | 9 | 5 | 12 | 27-32 | 32 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 8 | 8 | 10 | 24-32 | 32 |
| 15.ბორნმუთი | 26 | 7 | 7 | 12 | 30-44 | 28 |
| 16.სუონსი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-34 | 27 |
| 17.ნორვიჩი | 26 | 6 | 6 | 14 | 30-50 | 24 |
| 18.ნიუკასლი | 26 | 6 | 6 | 14 | 27-49 | 24 |
| 19.სანდერლენდი | 26 | 6 | 5 | 15 | 32-50 | 23 |
| 20.ასტონ ვილა | 26 | 3 | 7 | 16 | 20-46 | 16 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.02 რეალი-ატლეტიკო | 1.8 | 3.6 | 4.33 |
| 27.02 ხეტაფე-სელტა | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| 27.02 ხიხონი-ესპანიოლი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 27.02 ბეტისი-რაიო | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 27.02 სოსიედადი-მალაგა | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 28.02 ვილიარეალი-ლევანტე | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 28.02 ვალენსია-ბილბაო | 2.25 | 3.25 | 3.25 |
| 28.02 დეპორტივო-გრანადა | 1.83 | 3.5 | 4.4 |
| 28.02 ბარსელონა-სევილია | 1.2 | 7.0 | 12.0 |

**რეალი-ატლეტიკო**

რეალი: **ტრავმ**-გარეთ ბეილი

ატლეტიკო: **ტრავმ**-ტიაგუ

**ხეტაფე-სელტა**

ხეტაფე: **ტრავმ**-არავინ; **დისკვ**-ალვარო პერეირა

სელტა: **ტრავმ**-ენდრიუ ფონტასი

**ხიხონი-ესპანიოლი**

ხიხონი: **ტრავმ**-ბერნარდო ესპინოზა; **დისკვ**-სერხიო ალვარესი

ესპანიოლი: **ტრავმ**-ხოსე კანასი, მამადუ სილა, გიედრუს არლაუსკასი, ანაიც არბილია; **დისკვ**-ფელიპე კაისედო

**ბეტისი-რაიო**

ბეტისი: **ტრავმ**-მარტინ მონტოია, ჰეიკო ვესტერმანი, კრისტიანო პიცინი; **დისკვ**-ალფრედ ნდიაე

რაიო: **ტრავმ**-ტონო, რაზვან რაცი, პატრიკ ებერტი, დავიდ კობენო

**სოსიედადი-მალაგა**

სოიედადი: **ტრავმ**-კარლოს მარტინესი, სერხიო კანალესი, იმანოლ აგირეჩე; **დისკვ**-ჯონატასი, არიც ელუსტონდო, ასიერ ილარამენდი

მალაგა: **ტრავმ**-არავინ; **დისკვ**-იგნასიო კამაჩო, მიგელ ტორესი

**ვილიარეალი-ლევანტე**

ვილიარეალი: **ტრავმ**-ჯონათან დოს სანტოსი, სამუ

ლევანტე: **ტრავმ**-ივან ლოპესი, პედრო ლოპესი

**ვალენსია-ბილბაო**

ვალენსია: **ტრავმ**-არავინ

ბილბაო: **ტრავმ**-ინაკი უილიამსი, იბაი გომესი; **დისკვ**-რაულ გარსია

**დეპორტივო-გრანადა**

დეპორტივო: **ტრავმ**-სიდნეი, კანი

გრანადა: **ტრავმ**-ხავი მარკესი; **დისკვ**-რუბენ პერესი

**ბარსელონა-სევილია**

ბარსელონა: **ტრავმ**-რაფინია

სევილია: **ტრავმ**-მარკო ანდრეოლი, ნიკოლას პარეხა; **დისკვ**-ევერ ბანეგა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 20 | 3 | 2 | 67-20 | 63 |
| 2.ატლეტიკო | 25 | 17 | 4 | 4 | 35-11 | 55 |
| 3.რეალი | 25 | 16 | 6 | 3 | 71-24 | 54 |
| 4.ვილიარეალი | 25 | 14 | 7 | 4 | 30-18 | 49 |
| 5.სევილია | 25 | 11 | 8 | 6 | 36-26 | 41 |
| 6.სელტა | 25 | 11 | 5 | 9 | 38-44 | 38 |
| 7.ეიბარი | 25 | 10 | 6 | 9 | 40-34 | 36 |
| 8.ბილბაო | 25 | 10 | 5 | 10 | 35-35 | 35 |
| 9.სოსიედადი | 25 | 9 | 6 | 10 | 35-34 | 33 |
| 10.დეპორტივო | 25 | 6 | 14 | 5 | 33-31 | 32 |
| 11.ვალენსია | 25 | 7 | 10 | 8 | 30-26 | 31 |
| 12.მალაგა | 25 | 8 | 7 | 10 | 22-22 | 31 |
| 13.ბეტისი | 25 | 6 | 9 | 10 | 19-34 | 27 |
| 14.ხეტაფე | 25 | 7 | 5 | 13 | 26-39 | 26 |
| 15.რაიო | 25 | 6 | 7 | 12 | 34-51 | 25 |
| 16.ესპანიოლი | 25 | 7 | 4 | 14 | 22-48 | 25 |
| 17.ხიხონი | 25 | 6 | 6 | 13 | 28-42 | 24 |
| 18.ლას პალმასი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-40 | 21 |
| 19.ლევანტე | 25 | 5 | 5 | 15 | 24-45 | 20 |
| 20.გრანადა | 25 | 5 | 5 | 15 | 26-51 | 20 |

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.02 ჰამბურგი-ინგოლშტადი | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 27.02 შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 27.02 ვოლფსბურგი-ბაიერნი | 7.0 | 4.4 | 1.44 |
| 27.02 ვერდერი-დარმშტადი | 2.1 | 3.4 | 3.5 |
| 28.02 აუგსბურგი-გლადბახი | 2.6 | 3.4 | 2.6 |
| 28.02 დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 28.02 მაინცი-ლევერკუზენი | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 28.02 აინტრახტი-შალკე | 3.1 | 3.6 | 2.2 |

**ჰამბურგი-ინგოლშტადი**

ჰამბურგი: **ტრავმ**-სვენ შიპლოკი, ივიცა ოლიჩი, ნიკოლაი მიულერი, მიქაელ გრეგორიჩი, ანდრეას ჰირცელი

ინგლოშტადი: **ტრავმ**-დანილო სოარესი, ტობიას ლეველსი

**შტუტგარტი-ჰანოვერი**

შტუტგარტი: **ტრავმ**-ტიმო ბაუმგარტი, დანიელ გინცეკი

ჰანოვერი: **ტრავმ**-ფელიქს კლაუსი, ადამ ზალაი, ოლივერ სორგი, ჩარლისონ ბენშოპი, ლეონ ანდრეასენი

**ვოლფსბურგი-ბაიერნი**

ვოლფსბურგი: **ტრავმ**-დანიელ კალიჯიური, სებასტიან იუნგი, ჯოშუა გულავოგი, ანრე შურლე, დეიგო ბენალიო, ბას დოსტი

ბაიერნი: **ტრავმ**-ჰოლგერ ბადშტურბერი, ხავი მარტინესი, ჯერომ ბოატენგი

**ვერდერი-დარმშტადი**

ვერდერი: **ტრავმ**-კლემენს ფრიცი, ფილიპ ბარგფრიდი, ლუკა ზანდერი, არონ იოჰანსონი

დარმშტადი: **ტრავმ**-არავინ

**აუგსბურგი-გლადბახი**

აუგსბურგი: **ტრავმ**-რაულ ბობადილა, დანიელ ბაიერი, იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი

გლადბახი: **ტრავმ**-მარტინ შტრანცლი, ტონი იანჩკე, ალვარო დომინგესი, ანდრეა ჰანი, ნიკო შულცი, პატრიკ ჰერმანი

**დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი**

დორტმუნდი: **ტრავმ**-სვენ ბენდერი

ჰოფენჰაიმი: **ტრავმ**-არავინ

**მაინცი-ლევერკუზენი**

მაინცი: **ტრავმ**-სტეფან ბელი, იოშინორი მუტო, ფილიპ კლემენტი

ლევერკუზენი: **ტრავმ**-ხავიერ ერნანდესი, ლარს ბენდერი

**აინტრახტი-შალკე**

აინტრახტი: **ტრავმ**-შტეფან რეინალტცი, იოანეს ფლუმი, ლუკ კასტაინოსი

შალკე: **ტრავმ**-მარკო ჰოგერი, ბენედიკტ ჰოივედესი, მატია ნასტასიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 19 | 2 | 1 | 56-11 | 59 |
| 2.დორტმუნდი | 22 | 16 | 3 | 3 | 54-24 | 51 |
| 3.ჰერტა | 22 | 10 | 6 | 6 | 30-24 | 36 |
| 4.ლევერკუზენი | 22 | 10 | 5 | 7 | 31-23 | 35 |
| 5.გლადბახი | 22 | 11 | 2 | 9 | 43-38 | 35 |
| 6.შალკე | 22 | 10 | 4 | 8 | 31-29 | 34 |
| 7.მაინცი | 22 | 10 | 3 | 9 | 29-28 | 33 |
| 8.ვოლფსბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 32-29 | 31 |
| 9.კიოლნი | 22 | 7 | 8 | 7 | 24-28 | 29 |
| 10.ინგოლშტადტი | 22 | 8 | 5 | 9 | 16-23 | 29 |
| 11.შტუტგარტი | 22 | 8 | 4 | 10 | 34-42 | 28 |
| 12.ჰამბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-30 | 27 |
| 13.აუგსბურგი | 22 | 6 | 6 | 10 | 24-31 | 24 |
| 14.დარმშტადტი | 22 | 6 | 6 | 10 | 23-34 | 24 |
| 15.აინტრახტი | 22 | 5 | 7 | 10 | 27-37 | 22 |
| 16.ვერდერი | 22 | 5 | 5 | 12 | 25-44 | 20 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 22 | 3 | 9 | 10 | 22-33 | 18 |
| 18.ჰანოვერი | 22 | 4 | 2 | 16 | 19-37 | 14 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.02 ემპოლი-რომა | 4.5 | 3.4 | 1.85 |
| 27.02 მილანი-ტორინო | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 28.02 პალერმო-ბოლონია | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 28.02 კიევო-ჯენოა | 3.0 | 3.1 | 2.45 |
| 28.02 კარპი-ატალანტა | 2.37 | 3.0 | 3.25 |
| 28.02 სამპდორია-ფროზინონე | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 28.02 უდინეზე-ვერონა | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 28.02 იუვენტუსი-ინტერი | 1.53 | 3.8 | 6.5 |
| 29.02 ლაციო-სასუოლო | 1.75 | 3.6 | 4.8 |
| 29.02 ფიორენტინა-ნაპოლი | 2.9 | 3.4 | 2.37 |

**ემპოლი-რომა**

ემპოლი: **ტრავმ**-აანდრეა კოსტა; **დისკვ**-რიკარდო საპორანა, ლორენცო ტონელი

რომა: **ტრავმ**-ნორბერტ გიომბერი, დანიელე დე როსი

**მილანი-ტორინო**

მილანი: **ტრავმ**-ფილიპ მექსე, როდრიგო ელი, დიეგო ლოპესი; **დისკვ**-რიკარდო მონტოლივო

ტორინო: **ტრავმ**-დანილო აველარი, ალესანდრო გაცი, ჩეზარე ბოვო; **დისკვ**-მარკო ბენასი

**პალერმო-ბოლონია**

პალერმო: **ტრავმ**-ედოარდო გოლდანია, სტეფანო სორენტინო, აჩრაფ ლაზაარი

ბოლონია: **ტრავმ**-არავინ

**კიევო-ჯენოა**

კიევო: **ტრავმ**-ალესანდრო გამბერინი, პერპარიმ ჰეტემაი, ფედერიკო მატიელო; **დისკვ**-ნიკოლას სპოლი, ჯანპიერო პინცი

ჯენოა: **ტრავმ**-ლეონარდო პავოლეტი; **დისკვ**-არმანდო იზო

**კარპი-ატალანტა**

კარპი: **ტრავმ**-იგორ ბუბნიჩი, მატე ფედელე

ატალანტა: **ტრავმ**-ალეხანდრო გომესი, კარლოს კარმონა; **დისკვ**-ანდრეა კონტი

**სამპდორია-ფროზინონე**

სამპდორია: **ტრავმ**-მაბიდო დიაკიტე, ჯაკოპო სალა, კარლოს კარბონერო

ფროზინონე: **ტრავმ**-ადრიანო რუსო

**უდინეზე-ვერონა**

უდინეზე: **ტრავმ**-მაურისიო დომიცი, ალესანდერ მერკელი; ემილ ჰალფრედსონი

ვერონა: **ტრავმ**-სამუელ სუპრაიენი, ფედერიკო ვივიანი; **დისკვ**-ვანგელის მორასი

**იუვენტუსი-ინტერი**

იუვენტუსი: **ტრავმ**-მარტინ კასერესი, ჯორჯო კიელინი

ინტერი: **ტრავმ**-არავინ; **დისკვ**-მარსელო ბროჟოვიჩი, ჯეფრი კონდოგბია

**ლაციო-სასუოლო**

ლაციო: **ტრავმ**-სტეფან დე ვრეი

სასუოლო: **ტრავმ**-ქარიმ ლარიბი; **დისკვ**-სიმონე მისიროლი

**ფიორენტინა-ნაპოლი**

ფიორენტინა: **ტრავმ**-არავინ; **დისკვ**-მაურო ზარატე

ნაპოლი: **ტრავმ**-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 26 | 18 | 4 | 4 | 46-15 | 58 |
| 2.ნაპოლი | 26 | 17 | 6 | 3 | 54-21 | 57 |
| 3.ფიორენტინა | 26 | 16 | 4 | 6 | 47-26 | 52 |
| 4.რომა | 26 | 14 | 8 | 4 | 52-27 | 50 |
| 5.ინტერი | 26 | 14 | 6 | 6 | 34-23 | 48 |
| 6.მილანი | 26 | 12 | 8 | 6 | 38-28 | 44 |
| 7.სასუოლო | 26 | 9 | 11 | 6 | 32-31 | 38 |
| 8.ლაციო | 26 | 10 | 7 | 9 | 34-34 | 37 |
| 9.ბოლონია | 26 | 10 | 4 | 12 | 29-31 | 34 |
| 10.ემპოლი | 26 | 9 | 7 | 10 | 32-37 | 34 |
| 11.ტორინო | 26 | 8 | 8 | 10 | 33-33 | 32 |
| 12.კიევო | 26 | 8 | 7 | 11 | 31-36 | 31 |
| 13.ატალანტა | 26 | 7 | 8 | 11 | 25-30 | 29 |
| 14.ჯენოა | 26 | 7 | 7 | 12 | 27-31 | 28 |
| 15.უდინეზე | 26 | 7 | 6 | 13 | 22-40 | 27 |
| 16.პალერმო | 26 | 7 | 5 | 14 | 27-47 | 26 |
| 17.სამპდორია | 26 | 6 | 7 | 13 | 37-46 | 25 |
| 18.ფროზინონე | 26 | 6 | 5 | 15 | 26-51 | 23 |
| 19.კარპი | 26 | 4 | 8 | 14 | 23-43 | 20 |
| 20.ვერონა | 26 | 2 | 12 | 12 | 24-43 | 18 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.02 მონპელიე-ლილი | 2.6 | 2.9 | 3.0 |
| 27.02 გენგამი-ანჟე | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 27.02 ტრუა-ლორიანი | 3.0 | 3.6 | 2.2 |
| 27.02 ტულუზა-რენი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 27.02 რეიმსი-ბორდო | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 28.02 ნანტი-მონაკო | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 28.02 სტ.ეტიენი-კაენი | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 28.02 გაზელეკი-მარსელი | 3.6 | 3.25 | 2.1 |
| 28.02 ლიონი-პსჟ | 4.5 | 3.6 | 1.8 |

**მონპელიე-ლილი**

მონპელიე: **ტრავმ**-ლორენ პინო, მორგან სანსონი, პოლ ლანსე

ლილი: **ტრავმ**-ბენჯამინ პავარდი, მუნირ ობადი, ედერი, მაიკ მაინანი

**გენგამი-ანჟე**

გენგამი: **ტრავმ**-დორიან ლევო, რეინალდ ლემო, ჯონათან პერეირა, ნილ დე პოუ, მამადუ სამასა

ანჟე: **ტრავმ**-იოან ანდრეუ, სლიმანე სისოკო, ფერებორი დორე

**ტრუა-ლორიანი**

ტრუა: **ტრავმ**-მეტიუ სუნიე, იოან მარსიალი, მორი კონე

ლორიანი: **ტრავმ**-ჟან ჟოფრე, მარვინ გაკპა, ვესლი ლაუტოა

**ტულუზა-რენი**

ტულუზა: **ტრავმ**-ეტიენ დიდო, ისა დიოპი, უილიამ მეტიუსი, პავლე ნინკოვი

რენი: **ტრავმ**-ედსონ მექსე, ხუან კინტერო

**რეიმსი-ბორდო**

რეიმსი: **ტრავმ**-ალექს პეუ, ატილა თურანი, ენტონი ვებერი, ფრედერიკ ბულო, გრეიონ კიეი

ბორდო: **ტრავმ**-ანდრე ბიოგო პოკო, იაროსლავ პასილი, დიეგო კონტენტო, სედრიკ კარასო, ნიკოლას პალოისი, ნიკოლას მორისი, ისააკ ტელინი, მილან გაიჩი, პაბლო, გრეგუარ სერტიჩი

**ნანტი-მონაკო**

ნანტი: **ტრავმ**-კოფი ჯიჯი, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიე

მონაკო: **ტრავმ**-ბერნარდო სილვა, ფაბიო კოენტრაუ, ადამა ტრაორე, ივან კავალიერო

**სტ.ეტიენი-კაენი**

სტ.ეტიენი: **ტრავმ**-ჯერემი კლემენტი, ბენჯამინ კორნე, პიერ პოლომატი, ლიოკ პერინი, ფრანსუა კლერკი, რობერტ ბერიჩი

კაენი: **ტრავმ**-ისმაილ დიომანდე, ემანუელ იმოროუ, ჯონათან დელაპლასე

**გაზელეკი-მარსელი**

გაზელეკი: **ტრავმ**-გრეგუარ პუიოლი

მარსელი: **ტრავმ**-ანდრე ანგუისა, ბრის ჯა ჯეჯე, ლუკას ოკამპოსი, ბენჯამინ მენდი

**ლიონი-პსჟ**

ლიონი: **ტრავმ**-კორენტინ ტოლისო, ალდო კალულუ, რაფაელი, ნაბილ ფეკირი

პსჟ: **ტრავმ**-ხავიერ პასტორე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 23 | 4 | 0 | 67-13 | 73 |
| 2.მონაკო | 27 | 13 | 10 | 4 | 40-30 | 49 |
| 3.ნიცა | 27 | 11 | 8 | 8 | 39-30 | 41 |
| 4.სტ.ეტიენი | 27 | 12 | 5 | 10 | 32-30 | 41 |
| 5.ლიონი | 27 | 11 | 6 | 10 | 38-29 | 39 |
| 6.ნანტი | 26 | 10 | 9 | 7 | 26-24 | 39 |
| 7.კაენი | 27 | 12 | 3 | 12 | 28-35 | 39 |
| 8.რენი | 27 | 9 | 11 | 7 | 34-32 | 38 |
| 9.ანჟე | 27 | 10 | 7 | 10 | 27-27 | 37 |
| 10.ბორდო | 27 | 9 | 10 | 8 | 36-39 | 37 |
| 11.მარსელი | 27 | 8 | 12 | 7 | 37-28 | 36 |
| 12.ლილი | 27 | 7 | 13 | 7 | 21-20 | 34 |
| 13.ლორიანი | 27 | 8 | 10 | 9 | 39-41 | 34 |
| 14.ბასტია | 26 | 10 | 4 | 12 | 25-29 | 34 |
| 15.მონპელიე | 27 | 9 | 5 | 13 | 33-33 | 32 |
| 16.გენგამი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-38 | 31 |
| 17.რეიმსი | 27 | 7 | 8 | 12 | 28-38 | 29 |
| 18.გაზელეკი | 27 | 6 | 10 | 11 | 28-38 | 28 |
| 19.ტულუზა | 27 | 4 | 10 | 13 | 26-45 | 22 |
| 20.ტრუა | 27 | 2 | 8 | 17 | 20-56 | 14 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ორშაბათი 29 თებერვალი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 სოციალური თოქ-შოუ 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"ამავე დროს მომავალ წელს"** (რ.მალიგანი") 03.10 "პირადი ექიმი"

08.00 დ/ფ "ზეთი სიამაყე" 09.00 მხ/ფ **"ყოვლისშემძლე ევანი"** 10.30 დ/ფ "ინდოეთი" 11.00 ქართ. მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები"** 12.30 დ/ფ "პერუ" 13.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. **"ორი ბედი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"ოცი წუთი"** 11.20 სერ. **"დახურული სკოლა"** 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. **"თანხმობა"** 17.35, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ **"რემბო 4"** 01.50 მხ/ფ **"პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან"** 03.35 ერთხელ საქართველოში 05.05 მხ/ფ **"უცხოები"**

06.30 სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. **"ქარადაი - ახალგაზრდობა"** 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.45 სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** 19.45, 20.05 სერ. **"ალთქმა"** 22.00 ქ.მხ/ფ. **"გრძელი, ნათელი დღეები"** 23.30, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 9.30, 15.30 Discovery - ფილმების მეცნიერება 10.30, ჯიდიპედია 11.30 შუადღე 14.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. **"ცენტრი"** 16.30 აირჩიე კაბა 17.30 ან/სერ. **"ვარსკვლავური ომები"** 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.00 **ოსკარი 2016** დაჯილდოების ცერემონია 0.00 მხ/ფ **"უკანასკნელი სამურაი"** 2.45 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექეცი

